



საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო



1913

გიორგიობისთვე, № 11. მოწოდებათათვის.

საქართველოს
საბავშვო




ცაცხლის მკრობელი



ს ა რ ჩ ე კ ი .

I—ცეცხლის მკრობელი,—სურათი	1
II—შკაში,—(შიბ:ძვა) შ. მღვიმუღისა	3
III—ხერხი სჯობია ლონესა,—ნ. დ-რისა	6
IV—შაშა და შვილი,—(ძველი თქმულება) დ. წ.—ძისა	20
V—უძველეს დროის ბავშვის თაევადსავეალი, — მოთ- ხრობა ე. დ'ერვიდისა, (გაგრძელება), თარგმ. მარიამ იაშვიდისა.	29
VI—კეთილი შაშა, — ილია ივანეს-ძე წინამძღვრბიშვიდის 30 წლის იუბილეის გამო,—(დასასრული) აშ. წულაძისა.	46
VII—გუთანი ქართლში,—ი. შუქანარბიშვიდისა	51
VIII—ტროადის ომი,—(გაგრძელება) ად. შიჭაბურბიძისა	58
IX—გისართობი: რებუსი, შირაღა და აღსნა	63





მ კ ა უ ი.

(მიბაძვა).



ასწი, ბიკო, გაუტიე;
დღეს ჩამგალი ფხიანდება;
გამოუსვი ხელეურსა,
თორემ დავვიგვიანდება.

შემ სხივები გაასკეცა,
ყანა ფიცხობს, პრიალდება;
შიგ ჩაიწვის მოსავალი:
სარჩო გაგვიტიალდება.

აბა, მემნევე, გენაცვალე;
არ დაზოგო მუხლის თაეი,

მაგრად შეჰქარ და შებოქე
 სალენი და დასაფქვაი.

გზა-გზა თავთავს ნუ დააბნევ:
 ბლომად დადგეს ეგებ ხვაი;
 შინაც გვეყოს, გარედაცა,
 და არ გაეხდეთ საძრახაი.

დაგელოცოს, ყანავ, მადლი,
 სულ არ გირევიან ქვაი,
 სიმძიმისგან მიწას ჰკოცნი,
 მტრისაც-კი ხარ სანახაი...

ბიქო, ჩქარა ხელეური,
 ბიქო, ჩქარა სველი ულო,
 თორემ დადგა შეძნეური,
 შე ზარმაცო, შე ორგულო.

ეგრე, ეგრე, შესვეურო,
 ვასქერ ყანა, გადაყელე,
 შემოსძახე „ჰოოპუნა“,
 შენთან სხვებიც ვაახელე.


თავში გახვალ, თუ ბოლოში,
 აიზართე, ჩაახველე,
 ცხელი ოფლი მოიწმინდე,
 ყელი ღვინით ჩაისველე.


ჩამჭარჩენილს უთხარ შეკახედ:
 ჩამოდექი, სიყმე-შქრალო,

დღეს შენ ღვინო არ გვრგება,
მარტო წყალი უნდა სცალო!!.

გასწი, ბიკო, გაუტე,
თორემ ძალზე გვიანდება,
თუ დროზე არ მივეშველეთ,
ყანა ჩამარცვლიანდება.

შ. მღვიმელი





ხერხი სჯობია ღონესა...

(უძღვნი განსვენებ. თ-ღ ივანე გვიის-ძის ამილახვრის ხსოვნას).



I

ეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ძლე-
ვა-მოსილმა ოსმალებმა ხელში ჩაი-
გდო არა მხოლოდ ახალციხე და ბუ-
ნებისაგან საოცნებოდ მორთული
მთელი ზორჯომის ხეობა, არამედ
სურამისა და გორის ციხეებიც-კი. ეს უკანასკნელი სიმაგრე
უფრო მეტად გაამაგრა და შიგ სამი ათასამდე მეციხოვნე
ჯარი ჩასხა. ახალციხის ფაშას აწყურისა და სურამის ციხის
საშუალებით განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ჰქონდა გორის
ციხესთან. გორის ციხიდან ოსმალოს ჯარი ხშირად გამოდი-
ოდა, მარჯვე დროს შერჩევით სარგებლობდა, ეცემოდა ახ-
ლო მდებარე სოფლებს და იკლებდა მათ დაწიოკებულ მცხო-
ვრებთა. ატყვევებდნენ მრავალ ქართველებს, მომეტებულად
ახლოგაზდა ქალ-ვაჟთა. ბევრი მათგანი მიჰყავდათ სტამბოლ-
ში და იქ კარგ ფასად ჰყიდდნენ. ასე მიდიოდა საქმე, სანამ
ქართლის მოსურაობა არ ჩაბარდა იმ დროის სახელოვან კაცს—
გივი ამილახვარს. გივი ჩვეულებრივის მხნეობით შეუდგა თა-
ვის სამოურაოს საქმეთა მოწყობას. მან თვალი გადაავლო
მომავალ მოქმედების საასპარეზო ადგილებს და მტკიცედ წარ-

მოსთქვა: „ახალციხესა და გორს შუა ხილია გადებული. ეს ხილი დამყარებულია ორ ბურჯზე: აწყურისა და სურამის ციხეებზე. უწინარეს ყოვლისა მოხსენებული ხილი უნდა შუა ადგილას ჩაეანგრიოდ და მით გორელი ოსმალები გავიცალკევო.“ წარმოსთქვა ეს და მაშინათვე შეუდგა თვისი განზრახვის აღსრულებას. სურამის ციხე მალე წაართვა ოსმალებს, ტაშის-კარი ციხე-კოშკებით გაამაგრა; ბორჯომის ხეობაში რამდენიმე მოთარეშე რაზმები დააწყო და უბძანა: ეხმარათ ყოველი ღონისძიება და აწყურელი ოსმალოს ჯარი მუდამ—ჟამს მოუსვენრობასა და შიშ ქვეშ ემყოფებინათ. როცა აქეთკენ საქმე აწაიარად, მოაწყო, გივი წამოვიდა გორისაკენ. ოსმალოს ჯარი მოიმწყვდია ციხეში. აქამომდე ვათამამებულმა ოსმალებმა იკადრეს ციხის საფარველ ქვეშ მოკუნტვა. არა თუ სათარეშოდ ველარ გამოდიოდნენ, არამედ ციხის კარებიდან ფეხის გადმოდგმისაც-კი ეშინოდათ. გივის ეგონა, რომ ოსმალები ციხეში დიდხანს ვერ იბოგინებდნენ. მაგრამ მალე სრულიად სხვა აღმოჩნდა. ყოველნაირი სურსათი ბლომადა ჰქონდათ ოსმალებს ციხეში შეტანილი. საქმის ვითარება-კი მოითხოვდა ციხის მალე აღებას; ქართლის შუაგულიდან ოსმალების მალე განდევნას. გივიმ შეიტყო, რომ ახალციხის ფაშა დიდძალი ჯარით ეშადებოდა ქართლზე გამოლაშქრებას და გადასწყვიტა—დაუყოვნებლივ შესდგომოდა ციხის განთავისუფლების საქმეს. ერთი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე სცადა ციხის აღება, მაგრამ სასოწარკვეთილებით გააფთრებული ოსმალები მედგარ წინააღმდეგობას უწყევდნენ შიგნიდან. ქართველობა ბლომად იხოცებოდა, ოსმალები-კი თითქმის უვნებლად რჩებოდნენ სქელი და მაღალი კედლების საფარ ქვეშ. ამ გარემოებამ გივი ჩააფიქრა. ერთხელ კიდევაც სცადა ციხის აღება, მაგრამ როდესაც ცხადად დაინახა, რომ ეს ცდაც წინანდებურად გათავდებოდა, ბრძოლა შესწყვიტა. ჯარის უფროსებს გადასცა რამდენი-

მე თვისი ახალი განკარგულება და შემდეგ ბძანა ^{ქრისტესული} ^{დამტყ} ^{ბრძოლა} ჯირისა. მეოპარნი მალე გაიფანტნენ აქეთ-იქით. გივიც გა-
ჰყვა მათ უკან.

II

ამ ამბის შემდეგ გავიდა კვირა-ნახევარი. შემოდგომის
ცივი ავღრიანი ღრე დაღამდა. მოშავებებული ცა მგლოვია-
რე ქირისუფალივით დასცქეროდა ზემოდან შემოდგომიერ
გახუნებულ ბუნებას და ცივ წვრილ წვიმას აყრიდა; თითქო
მის უბედურებას დასტირისო. მაშინდელი გორი შესდგებოდა
იმ ნაწილებიდან, რომელთაც ამ ეჟამდ ციხის უბანი ჰქვიათ.
ვიწრო და აქლემის ყელივით დახლავნილ ქუჩებში ისე ჩამო-
ბნელებულიყო, რომ კაცი თვალში წატაკებულ თითსაც-კი
ვერ დაინახავდა. როგორც ჩანდა, მცხოვრებთ გულიანად
ეძინათ ირგვლივ დამყარებულ სამარისებურ სიჩუმეს არაფე-
რი არ არღვევდა. ყველას კარები მაგრა ჰქონდათ ჩაკეტილი;
სარკმლები დახშული, ისე რომ ვერსად ვერ შეამჩნევდით
წმინდა სანთლის მკირეოდენ ბეჭუტვასაც-კი. შუაღამე მოტა-
ნებული იქნებოდა, როდესაც ჩდილოეთის მხრიდან გორის
კალო-საბძლებს ვილაც სხენოსანი მოადგა. ერთი საბძლის
წინ სხენი შეაჩერა და ფრთხილად გადმოხტა ძირს. იმავე
წამს ვილამაც მოიბრინა და მოკრძალებით ჩამოართვა აღვირი.

— ბატონო, ყველანი აქ გახლავართ...— მოახსენა მანვე
თითქმის ჩურჩულით.

— “ნაშეც აქა ბძანდება?— იკითხა სხენოსანმა.

— დიაღ, შენი კირიმე... აქ გახლავთ...

— ძალიან კარგი!.. ახლა მე წავალ გარსევან მღვდელ-
თან, — ბძანა დაბალის ხმით ახლად-მოსულმა: — ვივლი ნელი
და ფრთხილი ნაბიჯით. მოისაზრე ჩემი იქ მისვლის დრო და,
როცა ეს იგულისხმობთ, თქვენც ყველანი დამწყრივდით სი-
თითაოდ და ნელ-ნელა გამოსწიეთ იქითკენვე.



— ბატონი ბძანდებით, შენი კირიმე.

ამის შემდეგ პირველი მოლაპარაკე გატრიალდა და ფრთხილად გასწია გორისაკენ. ცოტაოდენი სიარულის შემდეგ შევიდა ქუჩაში და ნელ-ნელა შეუდგა ციხის აღმართსა. კახანს იარა ამნაირად და ბოლოს შეჩერდა ერთი ქვითკირის სახლის წინ. ფრთხილად დააკაკუნა კარები და თითქმის იმავე წამს ფრთხილადვე გაიღო ეს კარები.

— ღმერთი იყვეს თქვენი შემწე-მფარველი, — მოისმა შიგნიდან, — მობძანდი, ბატონო გივი, მობძანდი.

მოსულმა თავი დალუნა და პატარა დაბალ კარებში ნელ-ნელა იწყო შესვლა. ოთახში არა ერთო ჯა, გარდა პაწია ზეთის კანდელისა, რომელიც ეკიდა ჩრდილო-აღმოსავლეთის კუნძულში წმიდა გიორგის ნაწილებთან ხატის წინაშე.

— აქა მშვიდობა! — წარმოსთქვა მან, როდესაც სახლში შევიდა და კარი მოიხურა.

-- ჯერ გაპარჯობა და შემდეგ მშვიდობა ნუ მოგიშალოთ უფალმა! — მოისმა პასუხად სახლის პატრონისაგან.

როდესაც ახლად-მოსული კანდელის მკრთალ შუქზე წარსდგა, იგი აღმოჩნდა უზარმაზარი ახოვანებისა დიდებული ვაჟკაცი. შავგვრემანი, მზისა და ქარისაგან შერუჯული-სახე თითქმის სულ მთლად დაფარული ჰქონდა ძალზე ქალარა-შერთლიწვერ-ულვაშითა. სქელი წარბების ქვეშიდან გამოიციკრებოდნენ დიდრონი შავი თვალები. ეჭვი არ უნდა, ეს თვალები გაჯაგრების დროს სასიამოვნო სანახავი არ იქნებოდა; ამ ეამად-კი მათში იხატებოდა მედგარი, ფიქრითა და ზრუნვით მოცული ქკუის მდგომარე-ბა. ტანთ ეცვა შავ ფარჩის ახლოზე მუხლებამდე ჩასული შავივე თივთიკის ჩერქეზული ჩოხა, ფეხთ-კი — მოთეთრო, ღილებიანი ყარაბაღული წაღები, რომლის ყელებში ჩატანებული ჰქონდა განიერი შარვლის ტოტები. წელზე ერთყა ოქრო-ვერცხლით შეკედელი ხმალი და ხანჯალი. კარგახანს თავჩალუნული იდგა, რადგან ახოვანება

მისი ვერ იმართებოდა დაბალი ოთახის ქერ ქვეშა. მან დაიწყო მალალი კალმუხის ქუდი მოიხადა და ტახტზე ჩამოჯდა, ხმალი წინ გადმოიღო, მარჯვენა ილლით დაებჯინა და მღუპარებით მიაპყრო თეალები მის წინ მდგომარე კარგა მოხუცებული. მაგრამ ჯერ კიდევ ქახმაკად მყოფ მღვდელს.

პირველი ბძანდებოდა იმ დროინდელი საქართველოს ერთი წარჩინებულ დიდებულთაგანი, ქართლის მაშინდელი მოურავი გივი ამილახვარი, ხოლო მეორე—ოქონის მღვდელი გარსევან გარსევანიშვილი, ცნობილი მწიგნობარი და ერთგული მამულიშვილი.

— მამაო გარსევან, — წარმოსთქვა პირველმა: — რა ამბავია თქვენს გარეშემო? ოსმალები ხომ არაფერსა ვრძნობენ? ექვი ხომ არა აუღიათ რა ჩვენ განზრახვაზე?

— ყველაფერი კარგად მიდის, ბატონო გივი... — უპასუხა მღვდელმა, — ჩვენი განზრახვა დიდი საიდუმლოებით არის დაკული: იგი ვიციტ მხოლოდ თქვენა და მე.

— არა, მამაო, შანშე ერისთავმაც. იმასაც გაუზიარე.

ამ სახელის ვაგონებაზე გარსევან მღვდელი სახტად დარჩა. გულზელი დაიკრიფა და გაოცებით მიაჩერდა ამილახვარს. რამდენსამე წამს მათ შორის დამყარდა სამაჩისებური მღუპარება. ბოლოს იგი დაარღვია გივიმ.

— ვიცი, მამაო გარსევან, რომ შანშე ჩემი მოკეთე არ არის! თუ წაქცეულს მომასწრო, ექვი არ უნდა, ზედ შემდგება. მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ის მძლავრი და გამოცდილი ვაჟკაცია. თუ მე და იმას შუა მტრობამ ფეხი აიდგა, აუარებელი ბოროტება დაატყდება თავზე ჩვენს ქვეყანას. ამ საიდუმლოების ვაზიარებით, დიდ პასუხსაგებელ საქმის ჩაბარებით მე მინდა მისი მოშურნე გულის მოგება, რათა ქვეყნის საკეთილოდ მოვიხმარო იმისი მზნეობა და ვაჟკაცობა!

— რომ ვილალოტოს?

— არა მგონია! როცა გაუშვილე, ისე ვაოცდა, რომ

რამდენსაჲმე ხანს მუნჯივით იდგა და თვალეზ-დაქვეტილი ზე მომცქეროდა. მერმე ისე აღელდა, რომ თავი ველარ შეიშავრა და თვალცრემლიანი გადამეხვია.

— მადლობა უფალს! მადლობა უფალს!

— ამასთანავე შენც იმის რაზმში იქნები, მამაო, და თუ შენიშნო რამე...

— სულიერი შეილია... მაგრამ აღსრულდება თქვენი ბძანება, ჩვენო დიდებულო წინამძღვარო, ქართლის დიდო მოურავო, მთლად ქვეყნიერებაზე ერთი ბიჭის მეტი აღარავინ მბაძია, მაგრამ იმასაც წიწილასავით წავგლეჯ კასერს; ქვეყნის ღალატი რომ შეენიშნო.

— მამაო გარსევან, ეს არის ახლა დიდი მოურავი მიწოდე. იმედი მაქვს, რომ ესეთი შეურაცხება ჩემი იქნება პირველი და უკანასკნელი. კაცი, რომელსაც ვგ სახელი ჰქვიან, იყო მოღალატე მეფისა და ქვეყნისა.

— არა, ბატონო ჩემო! გიორგი სააკაძე მოღალატე იყო არა ქვეყნისა, არა საქართველოსი, არამედ ფიცგამტები მეფეებისა და ამგვარივე ზოგიერთ თავადებისა. ღალატს ღალატითვე უგო პასუხი; ეს იყო მისი დანაშაული. იმას რომ ჰქვიანი და შორგამტკრეტი მეფე შეხვედროდა, ვინ იცის რა მდგომარეობაში ყოფილიყო ამ ეამად ჩვენი ქვეყანა?! მით უმეტეს, რომ შაჰ-აბაზი უწინ მოკვდა გიორგიზე და ამ სიკვდილის შემდეგ დიდი შფოთი და აურზაური ასტყდა მთლად სპარსეთში... ვინ იცის, ამ შემთხვევით როგორ იხარგებლებდა სააკაძე...

— კარგი, მამაო, ახლა დრო არ არის მაგაზე ლაპარაკისა... კვლავ დავასრულოთ ეს ბაასი. ახლა-კი გავჭუმდეთ; ვგონებ კარს გვიკაჯუნებენ.

ორივემ სული განაბა. მართლაც მოისმა ფრთხილი კაჯუნი კარებისა.

III

მოხუცმა მღვდელმა ყმაწვილ-კაცური სიმარდით მიი-

ბინა კარებთან და მეორე დაკაკუნების შემდეგ გააღო ხეობა. ოთახში შემოვიდა ორმოციოდე წლის, შუათანა ტანის, მხარბექ-განიერი. გივის მზგავსადვე ჩაცმულ-შეიარაღებული მშვენიერი და მდიდური სახის ვაჟაკი. დაინახა თუ არა გივი, შესდგა, მარჯვენა ხელი აიღო მაღლა, ჯერ გულზე მიიღო, მერე ტუჩებზე და ბოლოს შუბლზედა. ქუდი მოიხადა და, მკორე თავის მოხერით, წარმოსთქვა:

— აქა მშვიდობა და ბატონ გივის გამარჯვება!

გივი ამ დროს უკვე ფეხზე იდგა. მხიარული სახით მიეგება ახლად მოსულს; ხელი გაუწვირა და ზდილობიანად უბასუხა:

— მშვიდობა და გამარჯვება ნუ მოუშალოს უფალმა თავად შანშე ერისთავს.

შემდეგ ტახტთან მიიწვია და მოისვა გვერდით. გაისმა კვალად ფრთხილი კაკუნი კარებისა. ვალეხული კარებიდან სახლში შემოვიდა ახლად წვერ-ულვაშ ამწვანებული ყმაწვილი კაცი. იქვე; კარების ახლო, შესდგა და შანშესებური ხელის მოძრაობით სალამი მისცა მხედართ-მთავარსა. ამის შემდეგ წამ-და-უწუმ იღებოდა კარი, და ფეხ-აკრფით, ერთი მეორის შემდეგ, სახლში შემოდოდნენ შეიარაღებული მეომარნი. როცა უკანასკნელი მთავანიც შემოვიდა დარბაზში, სახლის პატრონმა მუხის გულის სხვილი ურდული გაუგდო კარებს და მაგრა ჩაჰკეტა იგი. მეომარნი ორ რიგად დამწყრიდნენ: ათი წინ, ათი უკან. შანშე ერისთავი მოუდგა მათ გვერდზე. ამილახვარი წამოდგა და თვალთ ანიშნა გარსევან მღვდელს. ამან იმავე წამს ოღარი ჩამოიგდო გულზე; კუნძულში მისვენებული წმიდა გიორგის ხატი ჩამოიღო; ორივე ხელებით ასწია მაღლა და შესდგა ამილახვრის წინ. უკანასკნელმა მოიდრიკა მუხლი; ამას მიჰყენენ დანარჩენნიც. სახლში გაისმა მორწმუნე გულიდან წამოსული ლოცვა «ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო. სწეულთა მკურნალო, მეფეთა უძლეველო წინამძღვარო,

დიდო მთავარ-მოწაფეო გიორგი, შეეწიე მონასა შენსა მამულსა გიორგის!.. შეგვეწიე, შეგვეწიე მოსივთა და მვედრებელთა შენთა.

— შეგვეწიე, შეგვეწიე! — გაისმა ერთხმად, თითქმის ჩურჩულით, ოცდა ორი მორწმუნე ადამიანის ვედრება.

გივი წამოდგა ფეხზე და მოწიწებით ემთხვია ხატს. ამგვარადვე მოიქცნენ სხვებიც. მხედართ-მთავარმა ქული დაიხურა და შემდეგ თვალი გადააფლო მეომართა პატარა გუნდს. დანაოქებული შუბლი გაეშალა, შეკრული წარბები გაეხსნა და მთლად სახეზე მხიარულება, სიამოვნება გადაეფინა. მერე მიუბრუნდა შანშე ერისთავს და ხმა-მაღლა უთხრა:

— გამდლობ, შანშე! სწორედ რომ სანაქებო რაზმი შეგიდგენია!.. აქ ისეთი ეაქაცები არიან, რომელნიც მღვევებსაც კი პასუხს გასცემენ.

— სიტყვები რა საჭიროა, შენი ქირიშე, ბატონო! — წარმოსთქვა ერთმა რაზმელთაგანმა: — საქმით ვიჩვენებთ, რაცა ვართ, საქმით...

— მამაო გარსევან, დაიძახე ამილახვარმა, იცნობ შენ ამას?.. — ღ მიუშვირა თითი მოლაპარაკეზე. მოძღვარი დაიცქერდა იმას, ვისკენაც იყო გაშვერილი მხედართ-მთავრის თითი. მის წინ იდგა შუახნის, ქალარა-შერთული, უბრალოდ ჩაკმულ-დახურული ვაქაცაი.

— ვერა, ვერ ვიცნობ, — სთქვა მღვდელმა, — არსად მინახავს.

— მაშ ტეტია ფოცხვერაშვილს ვერ იცნობ? — კვლად გოცებით ჰკითხა გარსევანს გივიმ: — ეგ ის არის, რომელიც ამ ერთი კვირის წინად თათრებს ციხეში ვადუხტა, სამ კაცს თავები დასჭრა, წამოიღო და სრულიად უვნებლად დაახწია თავი ოცამდე თათარს, რომელნიც გაცოფებულნი მოსდევდნენ უკან.

— არ ვიცნობდი, არ მენახა! — სთქვა გაბრწყინებულმა მღვდელმა, მაგრამ შავისი საქმეები-კი ბევრი გამოგონია... მე-

რმე მიუახლოვდა, პირვეარი გადასახა და სასოებით დასრულდა.
სთქვა: — უფალმა აკურთხოს; ტეტია, შენი დალოცვილი, მძლავრი მარჯვენა.

ამის შემდეგ გვიმ ხმალი გაისწორა, შანშეს რამდენიმე სიტყვა უთხრა ჩუმად და იწყო წასასვლელად მზადება. წინ გადუდგა გარსევან მღვდელი.

— ბატონო ჩემო, მოითქინეთ კიდევ მცირეხანს, მობეჭინდით იქითა ოთახში: სუჟრა უკვე გაშლილია, ვახშამი მიიერთვით, დაგვლოცეთ და მერე გზა მშვიდობისა მოგცეთ უფალმა.

— არა, მამაო, ვახშმისთვის არა მკალიან... აგერ მამლები ყივიან. გათენებისას შე უსათუოდ ღვარებში უნდა ვიყვე. იქ გროვდება ლაშქარი. თქვენ მიიერთვით ვახშამი, თქვენ დაშლოცეთ. — სთქვა ეს ამილახვარმა და ხელახლა მიბრუნდა შანშესაკენ. როგორცა სჩანდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ უცებ შენიშნა მისი შეწუხებული სახე და დაბლა დახრილი თავი.

— რა იყო, შანშე?.. რა მოგივიდა?.. რა ამბავია შენ თავს?.. — აღელვებით დაეკითხა მას ამილახვარი.

— შე არაფერი არ მომსვლია, ბატონო, — წარმოსთქვა შანშემ: მაგრამ ერთი რამე-კი ძალიან მაწუხებს.

— ბძანე, რა არის ეგ ერთი რამე?..

შანშემ აიღო თავი მაღლა, პირდაპირ შეხედა მხედართმთავარს და უპასუხა:

— თქვენ რომ ხვალ ბრძოლას გაუმართავთ ოსმალებს, ჩვენ მაშინ ციხეში ვიქნებით მიმწყვდეულნი, შორიდან სერიის მაყურებლად: ეს იქნება ჩვენთვის აუტანელი სასჯელი...

გვი მიუახლოვდა ერისთავს, მეგობრულად ხელი გადასდო მხარზე და უთხრა:

— ეგეც შენი გამჭრიახობისათვის მომინდვია, ჩემო ძვირფასო შანშე!.. მოიქეც ისე, როგორც ქვეყნის საჭიროება მოითხოვდეს.

— გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ... — მოისმა მთელი რაზმის ხა. გვიმ საერთოდ დაუკრა თავი და ვასწია კარებისკენ. კარებთან შესდგა, მოტრიალდა უკან და წარმოსთქვა:

— ინებოს ჩვენმა მფარველმა დიდმა მთავარ-მოწამე გიორგიმ, რომ ხვალ, ბრძოლის შემდეგ, იქვე პირნათლად შევხედეთ ერთმანეთს...

IV

გათენდა დილა. შემოდგომური სიცივე ახლად კბილებამოსულ ბავშვივით იკბინებოდა. მაგრამ აგერ აღმოსავლეთის მთებიდან ამოჰყო თავისი ბრწყინვალე თავი ცისა და ქვეყნის მანათობელმა. თვისი უთვალავი სხივები უხვად მოჰფინა მთასა და ბარსა, ცასა და ქვეყანას, და მიძინებულ მომაკვდავ ბუნებას ცხოველ-მყოფელი სითბო-სინათლით ზელაბლა გაუღვიძა სურვილი, იმედი სიცოცხლისა. მალალ მთის წვეროებიდან ამაყად გადმოშორალ წმიდა გიორგის ეკლესიის ჯვარმა მზის სხივებზე იწყო ლაპლაპი. ამ ეკლესიის გადასწვრივ სამხრეთისკენ ასდევს კარგა მოზღდილი, ტყით დაბურული, ხეობა ღვარებისა. ეს ხეობა ეკუთვნოდა შანშე ერისთავს. აქ უნდა შეგროვილიყო ოსმალებთან საბრძოლველად მოწვეული ლაშქარი. ამოვიდა თუ არა მზე, ამ ხეობიდან ჯერ რაღაც გაურკვეველი ხმაურობა გაისმა და მერმე ამ ხმაურობის ამტებთაც იწყეს ნელ-ნელა გამოჩენა გორიჯვრის მთაზე. მცირე ხნის განმავლობაში ღვარების ხეობიდან ორი ათასამდე შემოარნი ამოვიდნენ და თავიანთ ათისა და ასის თავების განკარგულებით გამწყრივდნენ მთის ფერღობზე, ეკლესიისაკენ მიმავალ საურმე ვზაზე. ბოლოს ქედზე გამოჩნდა თვით მხედართმთავარიც. იგი იჯდა თეთრ ყარაბაღულ ცხენზე; უკან ორასამდე შეიარაღებული ცხენოსანი მოსდევდა. როდესაც გამწყრივებულ ჯართან ჩამოვიდნენ, გვიმ ცხენი ეკლესიისაკენ ატრიალა. მის სიახლოვეს ჩამოხტა, შევიდა მეშვიდე საუკუ-

ნის გასულს აშენებულ პაწია საყდარში; იმ ადგილას, სადა გადმოცემის სიტყვით—პირველწოდებულმა მოციქულმა ამართა ჯვარი, მუხლი მოიდრიკა და გულ-მხურვალედ ილოცა რამდენსამე წამს. გამობრძანდა თუ არა ეკლესიიდან, ხელით ანიშნა ჯარსა ღ იმავე წამში ჰაერში გაისმა ძველი, მამა-პაპური სალაშქრო სიმღერა; „თამარ მეფე და ზონთქარი მალაღმა ღმერთმა წაჰკიდა“...

ორი ათასი კაცის აღგზნებული გულიდან ხმა-კი არა, გრვეინვა, ქექა-ქუხილი გადმოდიოდა. ამ დიდებულ სიმღერას თითქო ბანს აძლევდა მთა და ბარი, მიწა-წყალი სამშობლო ქვეყნისა. დინჯად მოდუღუნე მტკვარსა და გიჟმაც, მჩქეთარე ლიახვსაც თითქო შეეგნოთ მაღალი მნიშვნელობა აწინდელი ეამისა. თავიანთ ტალღების ჩქაფა-ჩქუფით, ჩუხჩუხით და გაბმული მზუილით თითქო ამხნევებდნენ, აქეზებდნენ საომრად გამოსულ ლაშქარსა. ეს სიმღერა მოეფინა გორსა და მთელ მის მიდამო სოფლებს... და არ დარჩენილა მათში არც ერთი მშიშარა და მხდალი, რომელსაც-კი არ ასძგერობოდეს გული ამ სიმღერის გავლენითა. სიმღერის გათაეების უმაღლ დამწყრივებული ჯარი დაიშალა და სათითაოდ ერთი მეორის უკან დაჰქანდა ვიწრო ბილიკზე, რომელიც მთის დაღმართზე მტკვრის ნაპირამდე ჩამოდიოდა. რამდენსამე წამის შემდეგ მთელი ეს ბილიკი რალაც საზარელ ზღაპრულ გველეშაპს დაემზგაესა; სულგანაბული, საშინელის სისწრაფით გარბოდა, იხლანებოდა, მისრიალებდა ქვემოთკენ.

როცა ამნაირად მთელი ქართველი ჯარი ჩალავდა ძირს, ჯარის უფროსნიც ჩაჰყენენ მათ. იმავე წამს იწყეს ორასამდე რუმების გაბერვა და ნავტიკების მზადება. მალე ასმა ნავტიკმა იწყო სუბუქად ქანაობა მტკვრის ტალღებზე. თვითეულ ნავტიკზე ექვს-ექვსი მეომარი იჯდა. მთელი რაზმი ნავტიკებისა დაიძრა და მარცხება ნაპირასაკენ იწყო ცურობა. ექვსასი კაცი მშვიდობით გავიდა მოხსენებულ ნაპირზე. ნავტიკები მსწრაფელ გამოტრი-



აღდგენ უკანვე. რაღა თქმა უნდა, ციხეში მყოფ ოსმალებს უცვლელივე ესა არ გამოეპარებოდათ. გამოჩნდნენ თუ არა გორიჯვრის მთაზე ქართველები, მაშინათვე ყურები ცქციტეს: ერთმანეთს შეატყობინეს, ციხის უფროსს მოახსენეს. მალე უფროსიდან დაწყებული უკანასკნელ შემოპრამდე ციხის სამხრეთის კედელს მოადგნენ და გულის კანკალით უწყეს თვალყურის დევნება ქართველი ჯარის ყოველ მოძრაობას.

როცა მოხსენებულნი ასი ნავტიკი მარჯვენა ნაპირიდან მარცხენისკენ წამოვიდა, ოსმალების მრისხანებამ თოდის წამალივით იფეთქა: მორთეს საშინელი ღრიანცელი; ხმლისა და ხანჯლის ჰაერში ტრიალით, ლანძღვითა და ვინებით მუქარას უხვად უთვლიდნენ ქართველებს. მეომრების ესეთი აღელვება მალე მათ წინამძღვრებსაც გადაედო. ეს უკანასკნელნი შეიკრიბნენ საჩქაროზე და გადასწყვიტეს—ჩასვლა მტკვრის პირად და იქ ნაწილ-ნაწილად აპოწყვეტა მთელი ქართველი ლაშქრისა. ამ გადაწყვეტილებას მეონარნი დიდის აღტაცებით მიეგებნენ. ორიოდ წამის განმავლობაში მთელი ჯარი შეიარაღდა და საშინელი ყრიამულით დაეშვა ციხის მალღობიდან მტკვრის ნაპირისაკენ. —ციხეში დასტოვეს ასიოდე ჯარისკაცი, რომელთა უმრავლესობა დაქრილებისა და ავადმყოფებისაგან შესდგებოდა. ბძანების დაგვარად, ამით ციხის კარი შიგნიდან მაგრა ჩაკეტეს და, ვისაც სიარული შეეძლო, კედელზე ავიდნენ და აქედან სიამაყით უწყეს ცქერა თავიანთ მიმავალ ჯარს.

V

გვი ამილახვარი სხვა-და-სხვა განკარგულებას აძლევდა, მაგრამ ცალი თვალი-კი მუდამ ციხისკენ ეჭირა. ამის გამო ციხის კარის გაღება და იქიდან ოსმალოს ჯარის გამოსვლა მაშინათვე შენიშნა. პირს ღიმილი მოადგა, სახეზე სიამოვნება გადაეფინა, თვალები გაუცოცხლდა. მიბრუნდა გორიჯვრისაკენ



და სასოებით ვადიწვრა პირჯვარი. აუჩქარებლივ მარჯვენა ხელით
რამდენიმე განკარგულება, შემოჰკრა ცხენს ქუსლი და შეაგ-
დო მტკვარში. მას მიჰყვა ცხენოსანი ჯარი. საჩქაროზე გავი-
და მეორე ნაპირას, ქვეითა მეომარნი დასძრა, ცოტა წინ
წაიყვანა და მდინარე ფშნის მარჯვენა ნაპირი დააქვინა;
ცხენოსანი ვაჰყო ორად და ამ ჯარს აქეთ და იქით მხრე-
ბში ამოუყენა. ამასობაში გამოჩნდნენ ოსმალების მოწინავე
რაზმებიცა. ქართველები მათ თოფის სროლით მიეგებნენ.
სწორედ ამ დროს ციხის კედელზე გამოჩნდა შანშე ერისთავი,
თვისი რაზმითა. მათ წინ უდგა მოხუცი გარსევან მღვდელი,
ოღარ-ჩამოგდებული. მარჯვენა, მალღა აპყრობილ, ხელში
ეჭირა ჯვარი, ხოლო მარცხენით—დროშა საქართველოსი.

— გამარჯვება, გამარჯვება საქართველოს! გაუმარჯოს
ქართველ ჯარს!!—გრგვინვასავით გაისმა პაერში.

ოსმალებმა მიიხედეს უკან და ცხადად დაინახეს თავიანთ
მომწყდევა მახეში. თავზარ-დაცემულნი აირივნენ, პირი უკან-
ვე იბრუნეს და ციხისაკენ დააპირეს გაქცევა. გივი ფიცხლავ
დაედევნა მათ უკან. მთელი მცხოვრებნი გორის, დიდით პა-
ტარამდე, ქალით კაცამდე თავთავიანთ სახლის ბანებზე გა-
მოსულიყვნენ და ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად მიშავალ ოსმალებს
სეტყვისავით დააყარეს ქვა და ლოდი. შანშე გამოვიდა ცი-
ხიდან ტ შეშინებულ მტერს ქორივით დაეცა მალლიდან. გი-
ვის რაზმებიც დაეწივნენ და მაშინათვე დაერივნენ ოსმალებს.
უკანასკნელთ იგრძნეს თავიანთი უნეგეშო მდგომარეობა,
ყოველივე იმედი ვადიწყვიტეს და ბრძოლაზე თითქმის სრუ-
ლიად აიღეს ხელი. წინააღმდეგობის მაგივრად იარაღსა ჰყრი-
დნენ და მორჩილებას უცხადებდნენ ქართველებს. ამის გამო
მოსალოდნელი სისხლის ღვრა, საბედნიეროდ, სრულიად ას-
ცდა ამ შეტაკებასა. სულ ორმოციოდე კაცი აღმოჩნდა და-
ქრილ-დახოცილი, და ესენიც, მომეტებულად, გორელების
დამწვარი გულის მსხვერპლნი იყვნენ. ვააფთარებული ქართვე-

ლი მეომარნი მალე დაშვიდდნენ და, ნაცვლად დაუნდობელი მტრობისა, მშურად ეხმარებოდნენ დაკრილ ოსმალებს.

შემდეგ სამადლობელი პარაკლისისა, რომელიც გადახდილ იქმნა ციხეში, გივიმ მისწერა ახალციხის თაშას: „გორის ციხე ავიღე; სამი თთასამდე ოსმალოს მეომარნი ამ ქამად ტყვეებად მყავს დაჭერილი. თუ ერთი კვირის განმავლობაში ამოდენსავე ქართველ ტყვეებს არ გამომიგზავნი გასაცვლელად, ამით სულ ყველას თავებს დავაყრევენბო.“

ამ მუჭარამ მალე გამოიღო თავისი ნაყოფი: სამი თთასი, სხვა-და-სხვა დროს ვატაცებული, ქართველები დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას, თავიანთ სახლკარსა და ოჯახს. ამილახვარ-მაც პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა: იმავე დღეს მთელი დატყვევებული ჯარი ოსმალებისა შვიდობით გაისტუმრა ახალციხისკენ.

6. ღ—რი.





მამა და შვილი.

(ძველი თქმულება).

ა.



რთ ლარობ კაცს სიღარიბე
სასჯლად ბედმა არ აკმარა—
უფრო ძნელი განსაცდელი
შეჭყარა და გაამწარა.

შვილი მისცა უკუღმართი,
გარეწარი, უკეთური:
გაჩენის დღეს იწყველიდა
მუდამ მამა უბედური.

შვილის გონზე მოსაყვანად
რა არ სცადა საზრალომა!
ხან აღერსი, დარიგება,
ხან მუჭარა და განყრომა.

ვერაფერმა ვერ უშველა:
აფი დარჩა ისევ აჟად,
მშობელთა და ნათესავთა
სათაკილოდ, საკიცხავად.

ბოლოს მამამ გულ-მოკლულმა
გადაწყვეტით უთხრა შვილსა:
„ვარ ჩემს თავს, ჩემს სიკოცხლეს,
შერცხვენილს და განაწბილსა!

ვხედავ, კაცი ვერ იქნები,
 თუ გინდ ცასაც შეაბერდე.
 მიმძიმს შენთან ლაპარაკი,
 მომასვენე, შენთვის ვგდე.“

მწარე სიტყვა მწარედ მოხვდა
 ურჩი შვილის ურჩსა გულსა
 სთქვა: „დავარღვევ მაძიჩემის
 ნაფიქრსა და განზრახულსა.“

ყველისაგან დღეს ასეთი
 შეურაცხი და გზობილი,
 კაცი უნდა გამოვიდე
 დიდებული და ცნობილი.

მამას უნდა უეჭველად
 შეეანანო დანაყბედი:
 კაცი გავხდე შე ისეთი—
 მოიხაროს ჩემ წინ ქედი.“

ამ განზრახვით გაიპარა,
 გარდობეწა სადღაც შორსა.
 მით მშობლები განამწარი
 ძაძა-ფლასით მან შეჰმოსა.

კანონია ბუნებისა,
 რაგინდ შვილი იყოს ავი,
 მშობელთათვის მაინც არის
 ძვირფასი და საესავი.

დიდხანს სძებნეს, ვერსად ნახეს—
 ვერცა მკვდარი, ვერც ცოცხალი;
 ამზავიცა ვერ სცნეს მისი—
 ვერცა ქორი, ვერც მართალი.

გადიწყვიტეს რა იმედი,
 იტირეს და ივაგლახეს;
 ცრემლის ღვრათა იგონებდნენ
 დაკარგული შვილის სახეს.

ბ.

როს გულ-დამწვარი დედ-მამა
 სოფელში ცრემლად დნებოდა.
 იმათი შვილი სტამბოლში
 იჭით და აქეთ ძვრებოდა.

ბევრი იმრუდა, იფლიდა,
 იცულლუტ—იუკმაკურა,
 და მიაღწია საწაღელს—
 ფაშობა დაიშახურა.

ქვეყანა ვიწროდ ეჩვენა,
 ძალნი ზეცისა—უძლურად,
 და გადახედა იქ შყოფთა
 ერთობ ამაყად, დიდგულად.

ჰფიქრობდა: მეტი რა შინდა,
 ხომ გავამტყუნე შამაო,
 რომელმაც საყვედურებით
 სიცოცხლე გამიწამაო.

თუ ცოცხალია, მოვიდეს,
 ჩემი კაცობა იწამოს;
 რომ მატირებდა, მარცხვენდა,
 აწ თვით იტიროს, ინანოს.



უბო ჩაფრებსა უბრძანა:
 „სამის დღის საეაღს იქითო
 სოფელი არის პატარა,
 იპოვით კითხვა-კითხვითო.

ბერი კაცია იქ ერთი—
 ჯიუტი, გულ-ქვა, აყუა.
 ენით ჰკლავს კაცსა, არ უნდა
 არც ხანჯალი და არც ტყვია;

შვილი დაჰკარგა, გასწირა,
 თავიც არ შეუფხანია.
 წადით ახლავე, მომგვარეთ,
 არ დააყოვნოთ ხანია.“

8.

ექვსი დღე-ღამე გავიდა,
 არსადა სწანან ჩაფრები.
 ფაშას აწუხებს ლოდინი,
 სულ აერია დაეთრები.

არც ძილი მოსდის, ვერც ჰფხიზლობს,
 მადაც დაჰკარგა ჰამისა,
 უნდა საჩქაროდ იყაროს
 როგორმე ჯავრი შამისა.

უმიზეზოდა მიზეზობს,
 გული ეღვევა, ბრაზდება;
 ჰფიქრობს, ვაი, თუ მოკვდაო,
 და აიცილა ბრალდება!

ერთხელ ვენახე მაინცა,
 ეგრძნო შეცდომა თვისიო
 და მოეხადა ბოდნიში
 შეცდომის საკადრისიო...

კარი გაიღო. ფაშის წინ
 მსახურმა თავი დაჰხარა
 და მოკრძალებით ბატონსა
 ჩაფურების მოსვლა ახარა.

თან მოახსენა: „გაახლეს,
 ვისი მოყვანაც ბრძანეთო.
 როგორ ინებებთ, აქა გსურთ,
 თუ ინახულებთ გარეთო.“

„აქაო“ — ბრძანა, და მყისვე
 შემოიყვანეს ბებერი,
 კონკით მოსილი, გამხდარი,
 წელში მოხრილი, თვთრ-წვერი.

ჰკრთება. იბნევა საწყალი,
 როგორ მოიქცეს, არ იცის.
 ფაშასთან ახლოს ყოფნასა
 იგი პირველად განიცდის.

რად დაიბარეს, რას სთხოვენ,
 რაი აქვს დანაშაული?!
 ველარ ერკვევა ბეჭავი,
 უშფოთავს სული და გული.

ფაშა უბღვერის ამყად,
 აღარ აშორებს თვალებსა.
 რაღა ეს უნდა ისედაც
 დამფრთხალს და განაწვიალებსა?!



უბრძანა: „აბა შეშხედე
 და კარგად დამაგტერდიო:
 იქნება მიცნო, ვინცა ვარ,
 თუ სულ არ გამოშტერდიო.“

განცვიფრდა, ძლიერ განცვიფრდა
 მოხუცი, ამის გამგონე,
 და იმავე დროს ჩაფიქრდა,
 შემოიკრიბა ძალ-ლონე.

აწონ-გაზომა მან ფაშა,
 გამოკომული მის წინა,
 მაგრამ ვერავის ამზგაესა,
 ვერა-რა წარმოიდგინა.

დასასრულ ფაშის თვალები,
 გაიძვერა და გაქნილი,
 ძლიერ ენიშნა და მაშინ
 კიდევაც იცნო მან შვილი.

უთხრა: „მამაშენს სიბერე
 გონს ვერ შეუშლის ადვილად;
 იქნება არც-კი გეგონა,
 მაგრამ გიცანი ნამდვილად.“

აქ ფაშამ სიტყვა მამასა
 მრისხანედ გააწყვეტინა;
 უბრძანა: „გახსოვს—შენგანა
 რამდენჯერ გული შეტკინა?“

მეუბნებოდი, რომ კაცად
 ვერ ივარგებო ვეროდეს,
 თუნდ სიკოცხლეო ასის წლის
 უმეტ-ნაკლებოდ გელოდეს.

ახლა ხომ გჯერა მაინცა,
როგორ სტდებოდი მაშინა,
რომ მოსვენება არ მქონდა
შენგან არც ვარდ, არც შინა?!

ოხვრითა ჰკადრა მოხუცმა:
„საუბედუროდ ჩემდაო,
გამართლდა ჩემი სიტყვები,
აწ ამას ცხადად ვხედავო:

„გაზრდილხარ, არა ვიშავსრა—
არც თვალად, არცა ტანადო,
თაშაც გამხდარხარ, მაგრამ მე
მაინც არა გთვლი კაცადო.

„კაცური კაცი შენს ალაგს
სხვა რიგად მოიქცეოდა:
თითონ გასწევდა შშობლებთან,
აღერსით ჩაეხვევოდა.

„ეტყოდა: კმარა, აქამდე
რაცოდენ გავამწარეთო,
რაც განიცადეთ ვარამი,
რაცოდენ ცრემლი ღვარეთო;

„მაპატიეთ და შემინდეთ,
კვალად მიგულეთ შეილაღო:
ვეცდები დღენი სიბერის
გატარებინოთ ტკბილაღო.

„შენ-კი სამი დღის საელიდან
მოხუცი მომაჩანჩაღე;
არ შემიბრაღე, ჩემს ქობში
სიკვდილიც აღარ მაკაღე.



„შენი ჩაფრები მძინარეს
 ღამით დამესხნენ თავზედა,
 კრინტიკ არ დამაძრევინეს,
 ისე გამოვდეს გზაზედა.“

„ისინი—ცხენით, მე—ფეხით...
 სად მქონდა ამის ძალ-ღონე?
 მაგრამ რას ვიქდი უშწეო,
 ფაშის ბრძანების გამგონე!“

„დედა შენისა რაღა ვსთქვა?
 ჩემებრ ბებერი, უძღურო...
 თითქმის გაგიყდა, ფაშისა
 სახელს რომ მოჰკრა მან ყური.“

„იქნებ ცოცხალიც არ დამხედეს,
 ისე შეშინდა ბეჩაევი.
 აი რა კაცურ-კაცობა
 დედ-მამას, შვილო, გვიყავი.“

„სხეასაც ვერ უზამ სიკეთეს,
 ვერ მოეპურობი კაცურად.
 ეს უფრო მტანჯავს, მალონებს,
 გულზე მედება აღმურად.“

„რა უნდა იყოს ფაშობა?
 ხონთქარიც გახდეს თუნდაო.
 კაცურ კაცობას სათანლად
 სულ სხვა მასილა უნდაო.“

„შენც ეს მასილა გაკლია,
 გაკლია ცეცხლი გულშიო,
 სიყვარულისა აღმგზნები,
 სულის ჩამძვრენი სულშიო.“

„მშვიდობით! მეტსა რას გკადრებს
 მოხუცი მამაშენიო.“

მას სულ სხვა გზა აქვს: სიკოცხლის
 უკვე დათვალია დღენიო!“

სთქვა ეს გაბედვით მოხუცმა
 და ისევ უკან გაბრუნდა.

ჩვენც აქ გაფიქრდეთ, ამ ამბავს
 სხვა განმარტება რად უნდა?..

ლ. წ—ძე.





უხველს ღროის ბავშვის თავ- ბადასავალი.

(გაგრძელება).

ორი ოთხფეხა მგობარა. — კრეკის ნადრობა. — საშაშარი ნადირის აღმოჩენა. — კრეკის ჩკენება. — სამხედრო თათბირა. — რაუტი სერი-ნავს. — იერიში. — კრეკის გმირობა. — ბრძოლა. — შირველ-უთფიდა ნეზღის მჭრებელი. — კრეკის მომავალი. — უხუცესის გამოთხოვება.



ვიღებო, — დაიწყო უხუცესმა, — მოხარული ვარ, რომ ისეთი ხალხი შეგვხვდა, რომელსაც, დაუფარავად გამოვტყდები, მეტი კოდნა აქვს, ვიდრე მე და ჩვენი მღვიმის უხუცესთ. მიჰბადეთ იმათ მუშაობის დროს, ყოველთვის იმათ მაგალითს მისდიეთ. თქვენ ახალგაზრდები ხართ და მალე ისწავლით სამუშაო და სანადირო იარაღების ხმარებას; ეს იარაღი იმათ გამოიგონეს და იმათვე განავითარეს; გამოიგონეს კიდევ იმითომ, რომ ამ მშვიდობიან ქვეყანაში ნაკლები ბრძოლა სჭირდებოდათ არსებობისათვის, ვიდრე ჩვენ, მაშასადამე ჩვენზე



მეტი დრო და მოცალეობა ჰქონდათ. მოვა დრო, როცა თქვენ მაგათ დაეწვეით და გადააქარბებთ კიდევ, ეჭვი არ არის. მე-კი ეჭვი მაქვს, რომ ჩემ ხანში შევიძლო კიდევ ტარიანი ცულების და ასეთი მძიმე კვერთხების ხმარება, თუმც ყველა ეს საშინლად მომწონს.

— მასწავლებლო, — სთქვა კრემა, — მე დღეს თვალ-ყური ვადევნე, როგორ იქცევიან ისინი. როცა ცულის ხერხტენ ხის ტარზე ჩამოსაცმელად. ერთმა აქაურმა მაჩვენა: აი-ლებენ ძელის ჯოხს, ქვიშას და წყალს; ჯოხს ატრიალებენ შეუჩერებლივ ცულში, რომელზედაც ბოლოს პატარა ფოსო კეთდება; ეს ფოსო თან-და-თან ღრმავდება და ბოლოს იხვრიტება. ამ შრომას, რასაკვირველია, დრო და მოთმინება სჭირდება.

უზუცესმა მოუწონა კრეკს ასეთი ცნობის-მოყვარეობა.

პირველმა ლამემ ტბაზე მშვიდობიანად ჩაიარა. ეს პირველი ლამე იყო, რომ მგზავრებისათვის ძილი არ დაუფრთხია ლამის ცხოველების ყვირილს: პირიქით — მშვიდობიანი წყლის დუღუნი იმათ ნანად შეესმათ.

მეორე დღეს, გაიღვიძეს თუ არა, მხიარულად და მზნედ გამოვიდნენ თავიანთ საწოლიდან ვწრო ხიდზე და წავიდნენ სოფელში, სადაც ხალხი უკვე კარგა ხანია სხვა-და-სხვა საქმეს შესდგომოდა.

დედაკაცები თევზსა და ხორცს სწვავდნენ ბრტყელ ქვებისა და ტალახისაგან გაკეთებულ კერაზე. ეს ტალახიც ქვასავით იყო გამაგრებული.

უთუოდ ამ ცეცხლზე დამწვარმა ტალახმა მოაფიქრებინა, თუმცა უფრო მოგვიანებით, უძველეს დროის ხალხს თიხისაგან ქურჭლის კეთება და ცეცხლში გამოწვა.

უზუცესმა აუხსნა თავის შვილებს — ქვებისა და ტალახისაგან გაკეთებულ შენობას ცეცხლი არ გაუჩნდებაო და გამოტყდა, რომ სოფელში მოსვლისათანავე არ ასვენებდა და სტანჯავდა



ის ფიქრობდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ამ ქოხებს გასჩენოდა ცეცხლი და გადამწვარიყვნენ; მაგრამ, ახლა, როცა დაინახა, რომ ამ სოფელში ცეცხლს დედამიწაზე არ აჩალებდნენ, ხოლო ქვისაგან გაკეთებულ მაგარ კერაზე ანთებენ; სრულიად დამშვიდდა.

სანამ ესენი ამ ბაასში იყვნენ, აქაურ ბავშვებს ტუჩებზე დიდრონი ნიჟარები მიედოთ და უბერავდნენ შიგ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. ამ ნიჟარებიდან ხრინწიანი ხმა ისმოდა. ეს ერთგვარი ნიშანი იყო; მუშები, მთელ ნაპირზე და ნაევებზე მოფანტულნი, მოცურდნენ ქოხებთან. დადგა ჭამის დრო. რამდენიმე წუთში ყველა კერას შემოეგრტა გარს და ჩუმიად დაიწყეს საქმელის დარიგება.

რამდენიმე ხანს მხოლოდ პირის წკლაპუნი ისმოდა; ხანდა-ხან კიდევ. რადგანაც იგინი ძაღვზე ძლებოდნენ, — ბოცინიც ისმოდა, რომელსაც შენ, ჩემო ძვირფასო ჟოჯო, აბატებ ამ უძველეს დროის ხალხს, თუ მოიგონებ, რომ ჩვენ დროშიაც, პარიზის მიდამოებში, ბევრი მუშა, ველურებზე ბევრად შეგნებულნი ამათზე ზრდილობიანად არ იქცევა.

სიამოვნებით შეექცეოდნენ პატარა წითელ-წინწკლებიან თევზებს, — ალბად კალმახს. კრეკა უცბად შენიშნა გაკვირვებით კერის მახლობლად ორი პატარა ნადირი, რომელნიც მელიებად ეჩვენენ, თავიანთი გრძელი კუდების მეოხებით.

ეს ნადირები მოშორებით ისხდნენ მოსადილეებზე და მხეცურად მისჩერებოდნენ ხორცს.

კრეკი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული თავის ამხანაგების უყურადღებობის გამო ამ ცხოველების მიმართ, რომელნიც თითქოს მზად იყვნენ დასცემოდნენ იმათ, ჩუნად წამოდგა, და ავლო ხელი თავის კვერთხს და მოემზადა ამ ნადირების მდგრად მოსაგერებლად; მაგრამ, ტომის მეთაურმა შენიშნა მისი სწრაფი განზრახვა და ანიშნა იარაღი დაედო თავის ალაგას და ისევ ჭამას შესდგამოდა.

თვითონ-კი გადაუგდო ცხოველებს რამოდენიმე მწალი, ისინი ხარბად მისცივდნენ ამ მკირე ნადავლს და ღრენით დაუწყეს ერთმანეთს გლეჯა, რამაც ბავშვების სიცილი გამოიწვია.

მაშინ მეთაურმა აუხსნა უბუცესს, კრეკზე არა ნაკლებ გაკვირვებულს, რომ ეს გარეული ნადირები დახეტიალობდნენ ერთ დროს მაგათ ბანაკის გარეშემო, საშინელ ყინვაში, როდესაც ხალხი ტყის პირად მუშაობდა. ალბად შიმშილი აწუხებდა ამ ცხოველებს. როდესაც მათ გასადენად ძვლები ესროლეს, ცხოველები არამც თუ არ გაიჭკნენ, პირიქით მოახლოვდნენ და გადაყრილი ძვლები უეცრად შეთქვლიდეს. ასე ხდებოდა რამოდენიმე ხნის განმავლობაში. ეს ცხოველები უკან დასდევდნენ მუშებს, როდესაც ეს უკანასკნელნი ალაგს იცვლიდნენ.

— ბოლოს და ბოლოს, — დაუმატა მეთაურმა, — დაინახეს, რომ ამათ არაფინ სდევნის, და ახლა საქმელს მუშებთან შოულობენ, აქვე ცეცხლთან თბებიან და აღარ გვშორდებიან. ბევრი ხანია მას აქეთ, რაც ესენი ისევე უკან დასდევენ ჩვენ კაცებს და როდესაც ჩვენი მონადირეები ჩრდილოეთის ირმებს დასდევენ დასაჭერად, ან სხვა რაზე ნადირს, ეს ცხოველები წინ გარბიან, ნადირს გარს ეხვევიან და ცდილობენ მონადირეებთან მიაგდონ. ჩვენ ეს სასარგებლოდ ვიცანით და გადავსწყუიტეთ აღარ დაგვეზოცნა ეს ცხოველები. ერთი სიტყვით, ესენიც ახლა ამ სოფლის მცხოვრებლებს ეკუთვნიან და ყურადღებასაც აღარაფინ აქცევს.

უბუცესი დიდხანს აღტაცებით ათვალიერებდა ამ ცხოველებს, რომელნიც აქ მეგობრებად ითვლებოდნენ; უბუცესს თავშიაც არ მოსდიოდა, რასაკვირველია, რომ შემდეგში ამ ნადირების ჩამომავალნი, მოშინაურებულნი მოვლითა და რიგინი საზრდოს საშუალებით, ასე გამოიკვლებოდნენ, თან-და-თან დაჰკარგავდნენ თავიანთ ველურ ხასიათს და ტყეში თავისუ-

ფალ ნადირობის ჩვეულებას და გადაიქცეოდნენ ადამიანების თანაშემწე და მეგობარ ძაღლებად.

გაათავეს ჭამა და მიწვნენ დასაძინებლად. როდესაც საკმელი მოინელეს, ისევ მუშაობას შეუდგნენ. რამოდენიმე მონადირე ტყეში გაემგზავრა; მათ პატარა ნადირებიც, აცქვეტილი ყურებით, თან გაჰყვნენ. გაჰყვნენ აგრედვე რიუგი, ჰელი და კრეკიც. დანარჩენებმა ისევ ბოძების დამაგრებას მიჰყვეს ხელი. დედაკაცები და ბავშვები ტყაებსა ფხეკდნენ, წყლიან ქვიშითა და ქონით ხებდნენ, რომ გამოექნათ და მოემზადებინათ რაც შეიძლება კარგი და რბილი ბეწვები.

ამასობაში უხუცესი და სოფლის მეთაური კერას შემოუსხდნენ; ამათ იკისრეს კერის ყურის ვდება. ამას გარდა ესენი შუბების წვერებს სთლიდნენ და თანაც სიმარჯვესა და ცოდნაში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ; ამზადდნენ შუბების წვერებს, ადარებდნენ თავიანთ ნამუშავეებს და ერთმანეთს მეგობრულად ულოცავდნენ ნაყოფიერ მუშაობას.

მისალოცავიც იყო: ისე სამაგალითოდ და ხელოვნურად სთლიდნენ კაეებს.

ჩვენ თვითონაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ ამაში,—თუ შევალთ მუზეუმში და იქ შევროვილ პატარა კაეების ნატეხებს გულმოდგინედ დავათვალიერებთ.

მათზე უკეთ ჩვენ ახლაც კი ვერ შევასრულებდით ამ ხელოვნურ საქმეს, ჩვენი ახლანდელი მსუბუქი და მოხერხებული რკინის იარაღით.

იმ დროს, როდესაც ეს ორი მოხუცი მუშაობდა, კრეკს, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად ატეხილ ტყეში დახეტიალობდა, უცბად კარგად ნაცნობი ტყაცანი შემოესმა, თითქოს ვილაც კაკალს ამტვრევსო. ეს ტყაცა-ტყუცი ხის წვეროდან მოისმოდა.

კრეკმა თავი მალდა აიღო, რომ დაენახა, რომელი ცხოველი ამტვრევდა ასე გაუფრთხილებლად ნაყოფს და ამავე დროს



თვითონაც მალალ ხმელ ვეიმბრაში ჩაცუქდა, რომ ამ ცხოველს დაჰმალოდო.

მაგრამ, რანაირად გაოცდა, როდესაც ცხოველის მიგივრად რაღაც ადამიანის ფეხების მზგავსი დაინახა.

კრეკი გაინახა, ოდნავლა სუნთქავდა, გველივით უჩუმრად ბალახებში ღრმად ჩაიშალა და ლოდინი დაიწყო, თან წამდა-უწუმ ხის წვეროსაკენ გაიყურებოდა.

ის არსება, რომელიც ხეზე რაღაცას ატკაცუნებდა, ამა-სობაში სხვა ნაყოფთა ძებნას განაგრძობდა, რაც მას აღბად ძირს ჩამოხედვისა და კრეკისაგან ამოძრავებულ ბალახის შრიალის გაგონებას უშლიდა. მალე ის ადამიანი, რომელსაც გტყობოდა, ვერ ეშოვნა, რასაც ეძებდა, ძირს ჩამოვიდა.

ჯველა ეს მან ჩუმად შეასრულა: ჩამოვიდა ხის ძირში, სული მოიბრუნა და სწრაფად გაექანა იტებილ ტყისაკენ.

უცნობმა ვერც შეამჩნია და ვერც იგრძნო, რომ ახალგაზდა მონადირე უღარაჯებდა.

კრეკმა მოასწრო მისი დათვლიერება. არც სახით, არც ჩაცმულობით იგი არც ერთ კარგ ნაცნობ სოფლის მცხოვრებს არ ჰგავდა.

მაშ ვინ იყო ეს უცნობი?

სახე ბეწვიანი ჰქონდა, ყელზე კიდევ დათვის ბრტყალგებისაგან გაკეთებული ყელსაბმელი ეკიდა.

კრეკმა ამ კაცის წასვლაზე ერთი თავისუფლად ამოისუნქა და ძალიან გაუხარდა, რომ ასე ადვილად გადურჩა. ჯერ თავისიანებთან დააპირა გაქცევა, მაგრამ კოტა ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა გჳლადად გამოსდგომოდა ამ უცნობ მონადირეს და ენახა, სად წავიდოდა.

კრეკი კარგი ყნოსვისა და სმენის პატრონი იყო, ამიტომ მაშინადვე დაედგინა და ფეხ-და-ფეხ მიჰყვა.

ქაობისა და წყლის მცენარეების სუნმა ამცნო კრეკს, რომ აღბად ტბის ნაპირს უახლოვდებოდა.

მართლაც — არ შემცდარა.

ფოთლებისა და ტოტების შრიალს მალე წყლის შხაპუნიც მოჰყვა. ხეებსა და მცენარეებს შორის ნათელი შუქი გაშოჩნდა.

აქ კრეკი შეჩერდა.

მან დაინახა, რომ უცნობი სრულიად არ იმალებოდა; გაბედვით გაიარა მოტიტვლებული ნაპირი და მალაღ ატებილ ლერწამისაკენ გასწია. ლერწამი ტბას გარს შემოერთყა. როცა უცნობი ნაპირზე მიდიოდა, უცბად ლერწმების ზემოდან შავ-თმიანი თავები გამოჩნდნენ.

კრეკმა დათვალა ისინი: რამდენი თავი დაინახა, იმდენი თითი ასწია (უძველეს დროის ბავშვებმა ხომ თვლა არ იცოდნენ) — და დაინახა, რომ ალბად იმდენი იყვნენ, რამდენი თითიც მას ორსავე ხელზე აქვს, და კიდევ ერთი ფეხის თითი წაუმატა.

ზოგიერთმა ახლანდელმა ველურებმაც, ჩემო პატარა ეორე, აგრე იციან თვლა, როდესაც ხელთ კენჭები არა აქვთ. არიან ისეთებიც, რასაკვირველია, უფრო განუვითარებლები, რომელნიც სამზე მეტს ვერ დასთვლიან. ესენი იმდენჯერ გიჩვენებენ სამ ქვას ან სამ თითს, რამდენ საგანს, ან ადამიანს ხედავენ.

კრეკმა ახლა-კი კარგად დაათვალიერა უცნობები და ეჭვი აღარა ჰქონდა, რომ არც ერთი მათგანი არ ეკუთვნოდა წყალზე მცხოვრებ ხალხს.

იმან სასარგებლოდ სცნო მალე შეეტყობინებინა ამხანაგებისათვის ამ უცნობების უცნაური აქ გაჩენის ამბავი: შესაძლოა ეს ხალხი სამტროდ მოსული იყო.

კრეკი ისევ ტყეში დაიმალა.

მალე მონადირეების ჯგუფს შეუერთდა, და დროც იყო, რადგანაც ჰელი და რიუგი შეწუხებულნი იყვნენ პატარა მის დაკარგვის გამო და ამხანაგებს ეხვეწებოდნენ ცოტა კიდევ მოეცადნათ, რომ კრეკი ეპოვნათ.

რიუგი დაბეჯითებით არწმუნებდა — ბავშვი მალე დაბრუნდებაო.

— დამიჯერეთ, — ამბობდა იგი, — მისი ლეხის ხმა მესმის: თუთუოდ ახლოს არის სადმე.

მონადირეები უკმაყოფილონი იყვნენ და ბუზღუნებდნენ. ამ დროს კრეკიც გამოჩნდა.

ისე უკმაყოფილოდ ივნენ, რომ იმის მოსვლამაც არ დაამშვიდა მონადირეები. მაგრამ კრეკის ახალმა მოტანილმა ამბავმა უტბად სახე შეუცვალა იმათ.

როდესაც კრეკმა ასწერა უცნობები, ტბის მცხოვრებლებმა, რომელნიც მებზობელ მოხეტიალე ხალხს უფრო კარგად იცნობდნენ, ვიდრე ამ სოფლის ახალ მცხოვრებლებს, მაშინადვე აღელვება დაეტყუათ; იმათ სიტყვებში რისხვა და შიში გამოიხატებოდა.

მსწრაფლ ნაწილ-ნაწილად დასჩეხეს ირემი, ვადიკიდეს მხარზე და ჩქარის ნაბიჯით გასწიეს სოფლისაკენ.

როდესაც ნაევებში ჩასხდომა დააპირეს, შეამჩნიეს, რომ ორი ნავი აკლდათ.

რა იქნა ეს ნაევები?

ტალახიან ნაპირზე ნათლადა სჩანდა კვალი თითოეული ნავისა, წყლიდან ნაპირზე გამოთრევის დროს დაჩნეული; აგრედვე ორი დაკარგული ნავის კვალიცა სჩანდა; ცხადია ეს ნაევები ხელახლა წყალში აი ჩაუშვიათ, თორემ ახალი კვალი გამოჩნდებოდა. არც ნაფეხური ეტყობოდა — იმას გარდა, რაც თვითონ მონადირეებისაგან იყო დატოვებული გადმოსვლის დროს.

ამ ორი ნავის უცნაური დაკარგვის შესახებ სჯა-ბაისის დრო აღარ იყო. სწრაფად ჩაუშვეს მონადირეებმა დანარჩენი ნაევები წყალში და ნიჩბების ქნევით დაეშენენ სოფლისაკენ.

მონადირეები გადმოტნენ თუ არა ნაპირზე, უფროსთა ქობებისაკენ გასწიეს. ისინიც გამოვიდნენ და კერის გარშემო შეიკრიბნენ.

მაშინადვე კრეკს დაუძახეს ამ ღიდ-მნიშვნელოვან ბირზე.

ამან გაიმეორა ის, რაც უკვე ნაამბობი ჰქონდა მონადირეებთან, ხოლო ახლა ხელების ქნევით ლაპარაკობდა, რომ უფრო დაერწმუნებინა მსმენელები.

უფროსნი წარბებ-შეკმუხვნით უსმენდნენ; მერე ყველა მონადირეს სათითაოდ გამოჰკითხეს აზრი და შემდეგ სჯას შეუდგნენ. ხოლო, როცა სჯა გაათავეს, მიუბრუნდნენ უზუცესს, რომელიც კრებას დაესწრო, მაგრამ ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა.

ჯერ მიულოცეს უზუცესს, რომ ასე კარგად აღზარდა მთელი კრების წინ მოლაპარაკე ბავშვი; შემდეგ მიანდეს მადლობა გადაეხადნა კრეკისათვის უფროს მეთაურისა და აგრედვე ყველას მაგივრად.

— უამისოდ, — სთქვა ერთმა მეთაურმა, — ეს რომ ფრთხილად და ყოჩაღად არ მოქცეულიყო, ჩვენ ამ ცოტა ხანში უძველად თავს დაგვეცემოდნენ. ეს განზრახულია ჩვენ ბოროტ მტრებისაგან, ტყის წუწკ-მოხეტიალეთაგან, რომელნიც ვინ იცის საიდან არიან მოსულნი, დაწანწალობენ ტბის ნაპირებზე დავლის საშოვნელად. ახლა ჩვენ შევიტყუეთ ამბავი: მდგომარეობა ძალიან საშიშია; მაგრამ ვინც ფრთხილობს — იგი ღონიერია. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ამ მოხეტიალე ხალხმა მიატოვა ჩვენი ქვეყანა, რადგანაც მათი კვალი კარგა ხანია დავკარგეთ; მაგრამ ახლა დაბეჯითებით ვიცით, რომ წასვლა ფიქრადაც არა ჰქონდათ; შეუბოვრად დაბრუნდნენ ტბის ნაპირებზე და ხელ-ახლა გვიპირობენ განადგურებას; მაგრამ თუ კიდევ, როგორც ამას წინად, გაბედეს აქ მოსვლა, მათ საკადრისად დავხვდებით.

უზუცესი მოიხარა კრეკის წინაშე და აღერსიანად მხარზე ხელი დაადო.

კრეკს თვალები ცრემლებით აფესო. ყველას თვალწინ მისდამი ასეთი პატივის ცემის გამო.

ამ ლაპარაკში დაღამდა კიდევ. უფროსების ნებართვით ყველამ ხელად ივახშმა; შემდეგ მეთაურმა უბრძანა ყველაზე ღონიერი მონადირეები წასულიყვნენ ხიდების ბოძებში გაყრილ ხეების გამოსალებად. ეს ხიდები სოფელს ტბის ნაპირებთან აერთებდა; დედაკაცებისა და ბავშვებისთვის იყო გაკეთებული, აგრედვე იმ მცხოვრებლებისთვის, რომელთაც უნავოდ ნაპირზე გამოსვლა დასჭირდებოდათ. დედაკაცებს და ბავშვებს უბრძანეს ქოხებში დამალულიყვნენ. მათგან არავის არ დაუძინია. ყველა ეს მუშაობა ჩუმად სწარმოებდა.

მეომრები შეიარაღდნენ და მეთაურთა ბრძანებით თავთავის ალაგას ჩამწკვრიდნენ. ცარიელი დარჩა მხოლოდ შუაგული ადგილი და ხიდების შესავალი, სადაც ჩვეულებრივ ცეცხლი ღვივოდა. მეომართა ერთ ნაწილს უბრძანეს ნავებში ჩასულიყვნენ და იქ ჩაწოლილიყვნენ. ეს ნავები ჩვეულებისამებრ მოთავსებული იყო ბოძების გასწვრივ, ხიდების წინ.

შემდეგ ლოდინი დაიწყეს.

რიუგი, რომელსაც არაჩვეულებრივი მახვილი სმენა ჰქონდა, საბატო ალაგას დანიშნეს. იგი ცეცხლთან უნდა დაწოლილიყევო, სინათლეზე, ყური უნდა ეგდო ღამის ხმაურობისათვის, უნდა შეეტყობინებინა სხვებისათვის მტრის მოსვლა და თავი უნდა მოემძინარებინა, — ერთი სიტყვით — დარაჯად უნდა ყოფილიყო.

ჭელოს დაევალა — დაინახავს თუ არა, რომ სოფელში მდგომი მეომრები მისცვიდნენ ერთბაშად მტერს, ბრძოლაში არ უნდა გაეროოს, არამედ ცეცხლს ლერწამი და ფიჩხი უნდა მიჰყაროს და ბრძოლის ველი უცბად გაანათოს. ამისათვის ლერწამს წინდაწინვე ფისი და ქონი გადაასხეს და კერასთან მიაწყვეს.

მეთაურთა ყველა განკარგულება ბეჯითად იყო შესრულებული. ღამე რიუგმა უფერად კერის წინ უსიტყვოდ ხელი ასწია.

როუგის ხელის აწევის მნიშვნელობას უფროსი მეთაური მიხვდა და წაიხურჩულა:— მოდიან, — უურადღება! შეხედეთ! — წასჩურჩულა ყურში უბუცესს:— მაგათ განგებ აირჩიეს ისეთი დრო, როდესაც უფრო ცივა, რადგანაც ამ დროს ძილი უფრო მაგარია და, მათი ფიქრით, ჩვენ დარაჯებს უთუოდ სძინავთ.

გარშემო ღრმა სიჩუმე და სიბნელე იყო გამეფებული, ხოლო სადღაც, შორი ტბის ნაპირებიდან, ქაობის ფრინველის შესაბრალისი ძახილი მოისმოდა.

როუგმა ხელ-მეორედ ასწია ხელი და დაწვა.

აი, სწორედ ისინი არიან, — სთქვა უფროსმა მეთაურმა.

მართლაც, მეომართ დრო-გამოშვებით, ზვირთების ხმა-ურობასთან ერთად, ესმოდათ რაღაც არაჩვეულობრივი შხაპუნნი, თითქოს ტბაში მცურავ რაღაც საგნებს წყალი ეხეთქებოდა.

მაღე ეს შხაპუნნი უფრო მკაფიოდ გაისმა.

საშინელი წამი ახლოვდებოდა.

როუგი ზვრინავდა.

მისი მშვიდობიანი ზვრინვა ჯერ-ჯერობით უჩინარ მტერს აღბად ამხნევებდა და თავდასასხმელად იწვევდა. და მტერს წინდაწინვე უხაროდა, როდესაც მშვიდობიანად მძინარე დარაჯი შენიშნა; ახლა მას გარკვევით ხედავდა, მიწაზე ცეცხლის სინათლეზე გაშლართულს; დარაჯს ეძინა. იმის მაგივრად, რომ მტერს შუბით ხელში ფეხზე დახედომოდა.

რადგანაც აქამდის გარკვევით არ ისმოდა წყალში ნიჩბების ხმაურობა. უმფროსმა მეთაურმა დაასკვნა, რომ მოპარული ნაევები, ან ტივი, რომელზედაც მტრები ისხდნენ, ხელით მიჰქონდათ მარჯვე მცურევებს და ერთმანეთს სცვლიდნენ.

ასეც იყო ნამდვილად.

მცურავეებმა ნაევები პირდაპირ ბოძებთან მიიტანეს, ამ მხრივ, სადაც ნაევები იდგნენ; ამ ნაევებში, ღერწმის კონტების ქვეშ, მეომრები იწვნენ.



სათითაოდ ამოძებნენ მალლა.
წყალი წურ-წურით ჩამოსდი-
ოდათ, მოწინავე მეთაურმა მძი-
ნარე რიუგზე მიუთითა.

მტრები, წყლის ვირთავებშავით, ჩუმად ამოძვრნენ ნავე-
ბიდან.

მალე ბოძებთან მათი თავები გამოჩნდა. ცეცხლის სინა-
თლეზე მათ ვაგანიერებულ თვალეში მძინვარების შუქი იხა-
ტებოდა.

სათითაოდ ამოძვრნენ მალლა. წყალი წურ-წურით ჩა-
მოსდიოდათ. მოწინავე მეომარმა მძინარე რიუგზე მიუთითა
და უცბად შუბის ქნევით მისკენ ვასწია.

მაგრამ რიუგს არ ეძინა. იმ დროს, როდესაც თავი მო-
იძინარა, კერას მიუწყო ნელ-ნელა ფისიანი ლერწამი, რო-
მელიც უცბად უნდა ანთებულყო.

როდესაც ამ უცნობების მეთაური შუბით ხელში მოე-
შადა რიუგის გასაგშირავად, შეუპოვარი ახალგაზნდა გადაბრუნ-
და მეორე გვერდზე, როგორც ძილში გადაბრუნდება ხოლმე
ადამიანი თავის ლოგინში, მარჯვედ შესწია ხელით ლერწამი
კერაში და უცბად ანთო.

ამ უეცარმა აღმა თვალეები დაუბრმავე უცნობ მეომარს,
რომელიც აწეული ხელით ერთბაშად შეჩერდა.

ეს უეცარი არეულობა მისთვის საბედისწერო გამოდგა:
როდესაც მისი შუბი რიუგის მაგიერ, მიწაში ჩაერქო, ყველა
შრიდან გამოცვივდნენ მეომარები და ელურებს გარს შემოეხ-
ვივნენ. კრეკი, ხანჯლით შეიარაღებული, ერთ წამს მტრის წინ
გაჩნდა და გული გაუგშირა. ეს კაცი დაეცა. კრეკმა ჩუმად მოუ-
სწრაფა მას სიცოცხლე.

ამ მტრის ამხანაგებსაც მწარე ბედი ელოდა. ყოველი
შრიდან კეტებისა და კვერთხების ხატქა-ხუთქი ისმოდა.

ამასობაში ცეცხლი ზღვის მანათობელ კანდელივით შრი-
ალებდა. რიუგი, ამ საშინელ ბრძოლის დროს, დიდხანს და-
უღალავად აყრიდა ცეცხლს ახალ-ახალ კონებს. როდესაც
რომელიმე მტერი ახლოს მოვიდოდა გულად ბავშვთან, იგი,
ერთგული თავის მოვალეობისა, კმაყოფილდებოდა მხოლოდ



იმით, რომ გაუფრთხილებელ მტერს ანთებულ ტოტს (სხვი) პირში აჩრიდა.

უცნობები არ ჰყრიდნენ იარაღს და რაღაც ველური გმირობით იბრძოდნენ.

მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ ვერ დაამარცხებდნენ მტრებს, რომელთა რაცხვი მატულობდა, იმ დროს, როდესაც მათ გუნდს თან-და-თან აკლდებოდა, და საჩქაროდ გაეცალნენ. როდესაც ხიდეები ჩაშლილი დაინახეს, გამობრუნდნენ და ნაევებს შიაშურეს, რომ ბნელი ღამით ესარგებლნათ და გაქცეულიყვნენ.

მაგრამ, მიუახლოვდნენ თუ არა ნაევებს, იქ ჩასაფრებული შეომრები დახვდნენ და საშინელი კიჟინა დასცეს.

ასეთმა უეცარმა კიჟინამ იმათ თავზარი დასცა, და ახლაკი მიხვდნენ, რომ დაიღუპნენ.

ვინც ჯერ კიდევ დაქრილი არ იყო, ტბაში გადაეშვა, მაგრამ მათ მაშინათვე უკან დაედგნენ მეთევზე ჰელი და სხვებიც, ვინც მის მაგალითს წაჰხედა. ზოგიერთი დაქრილიც განაგრძობდა ბრძოლას.

მალე ესენიც დაიხოცნენ, რადგანაც მოპირდაპირეთა რიცხვი მეტი იყო.

როდესაც მტრისაგან განთავისუფლებული მებრძოლნი ისვენებდნენ და თან ცივ წყალს ეწაფებოდნენ, რიუგმა მალალი ხმით დაუწყო ძაბილი დედაკაცებსა და ბავშვებს. რომელნიც ბრძოლას შორიდან უყურებდნენ, და უბრძანა საჩქაროდ მოეთრიათ ტყავები და წყალში დაესველებინათ.

უფროსმა მეთაურებმა და უბუცესმა, რომელნიც საკვირველი მხნეობით იარაღს აწოდებდნენ ბრძოლის დროს უიარაღო ამხანაგებს ჰკითხეს, რა მიზეზია, რომ რიუგმა ასე საჩქაროდ მოითხოვა ტყავები და თან ასე ჰყვირისო.

— ჩემის აზრით, — მიუგო დიდუფრა რიუგმა, — უსარგებლო იქნება, რომ მოგროვილი საწვავი მასალა სულ ერთიანად



დაეწვიათ. ახლა რაც ანთია, ისიც უნდა ჩაეაქროთ, პით უბე-
ტეს, რომ იატაკიც იწვის.

მართლაც, სოფელს ახალი უბედურობა—ცეცხლი მოე-
ლოდა.

საბედნიეროდ, რიუგის ფზიხელი მზნეობის წყალობით,
დედაკაცებმა დროზე შეასრულეს ამ ცეცხლის მფარველის
ბრძანება, მოათრიეს სველი ტყაეების გროვა და საჩქაროდ
მოჰფურნეს იატაკი და კერა; მონადირეებმაც მიიღეს ამაში
მონაწილეობა და დაიწყეს წყლის ზიდვა ქერქის ჭურჭლითა.

ცეცხლი სწრაფად ჩაქრეს.

შემდეგ დაქრილებსაც მიხედეს.

მტრების გვამები წყალში გადაყარეს.

უმფროსმა მეთაურმა, სანამ წყალში გადააგდებდა იმ
მტრის გვამს, რომელიც კრეკმა მოჰკლა, ყელიდან დითვის
ბრჭყალებისაგან გაკეთებული ყელსაბმელი მოჰგლიჯა და
კრეკს გადააცვა ყელზე, ამ სიტყვებით:

— შენ ეს დიშსახურე და მეც საჩუქრად გაძლევ ჩემი
ხალხის სახელით, ნიშნად პატივისცემისა და მადლობისა.

უბუცესმა აიღო კრეკის ხელი, გულზე მიიღო, რომე-
ლიც მღელვარებისაგან ძალზე თრთოდა, და სთქვა:

— ახლა შენ ნამდვილი შემომარი ხარ, ჩემო შეილო, და
მეც კმაყოფილი ვარ შენი.

ბოლოს ირიტრავა კიდევ და მეთევზე ჰელიც გამოჩნდა;
ისე მარჯვედ მოსურაედა, როგორც თევზი წყალში ცურავს;
მთელი სახე საფეთქლიდან ნიკაპამდის გახეთქილი ჰქონდა,
მაგრამ სიცილს მაინც არ იშლიდა.

უბუცესის შეკითხვაზე ჰელიმ მარჯვედ უპასუხა:

— მე ჩემ რამოდენიმე ამბანაგთან ერთად წყალში დაე-
თავეთ ის, რაც თქვენ აქ მალა დაიწყეთ.

ჩემო ეორგ, ბრძოლის წუთები ჩვენ განათლებულ დრო-
შიაც ის წუთებია, როცა ადამიანი უტკრად ისევ უბრუნდებო-



იმ სასტიკ ჩვეულებათა და საზიზღარ მოქმედებად, რომელთა საც იმ დროის ველურები სჩადიოდნენ; ეს დრო, როგორცა სჩანს, სამუდამოდ შთაინთება.

რამდენი ამდროინდელი მხედარიც, ომის დროს გამოძინვარებული, ძველ ველურებსავით იტყევა:

დავივიწყოთ ეს საზიზღარი ამბავი.

ამ საშინელ ღამეს მოჰყვა ბევრი მშვიდობიანი და წყნარი დღეები და ბოძებზე გაშენებული პატარა სოფელი დიდი ხნით შეიქნა ისევ შრომისა და ბედნიერების თავშესაფარად.

მშვიდობიანმა წყნარმა წელიწადებმა სწრაფად გაიარა. ამ დროს განმავლობაში კრეკს ბევრჯერ უსახელებია თავი ამხანაგებ შორის თავისი საუცხოვო, კეთილი ხასიათით.

გულადობასთან ერთად იმან განავითარა სიფრთხილე და ცოდნა.

თუმცა რჩეული თავის ამხანაგებში, ის მაინც თავდაბალი იყო. ამიტომ, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, მისდამი ნდობა და პატივისცემა არავის შურს არ უძრავდა.

პირ-იქით — ის მაგალითად მოჰყავდათ ოჯახის უმცროს წევრთათვის და ისინიც სუდილობდნენ მისთვის წაებაძნათ.

ყველა ხელაფდა მასში მომაველ მეთაურს, დაუფასესელ ხელმძღვანელს, გამოცდილ დამრიგებელს, უშიშარ ქომავს.

პელი და რიუგი, რომელთაც კრეკი ტანით წამოეწია, ხიამონებით აღიარებდნენ ყველაფერში მის პირველობას და ამბვე დროს წინანდებურად უყვარდათ იგი.

საზოგადო პატივისცემა, რომლითაც კრეკი სარგებლობდა, და თან უბუცესის რწმენა, რომ მისი ძვირფასი შევირდი მიადწევს: ერთხელაც იქნება ტომში უპირველეს ადვილს, უკოტა არ იყოს უჭარწყლებდა უბუცესს მწარე ფიქრს, რომ ის ვერ მოესწრობა იმ დროს, როცა საკუთარის თვალით დაინახავს. კრეკის ხელში ტომის უფროს მეთაურის ხელმძღვანელად კვერთხს.

... მან ...

ერთხელ, როდესაც უბუცესმა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ჰელის და რიუგს დააეალა გადაეცათ კრეკისთვის. იმ დროს, როცა იგი უფროსობას მიიღებდა და უბუცესი ცოცხალი აღარ იქნებოდა, უძველეს დროის უფლების ნიშანი — ჩრდილოეთის ძრპის ძეღისაგან, გაკეთებული ჩუქურთმიანი კვერთხი, რომელსაც უბუცესი პატიოსნად და ამაყად ატარებდა თითქმის ასი წლის განმავლობაში.

ასეთი ანდერძის შემდეგ, უბუცესი ღვთის განგებას მიენდო, გაეხვია თავის მგლის ტყავში და დიდებული სიმშვილით ელოდა სიკვდილს.


სიკვდილის დღეს მეთაურები შემოებვივნენ უბუცესის საწოლს; უბუცესმა კრეკზე მიუთითა, რომელიც ჰელისა და რიუგის შუა იდგა და გულმაგრობდა, და სთქვა:

— ხალხო ამ დროისანო, მოისმინეთ—რას გეტყვით ადამიანი წარსულის მომსწრე: მადლობას გიხდით სტუმართმოყვარეობისათვის და გიტოვებთ აი ამ ბავშვს; მან უნდა უწინამძღვროს მომავალში თქვენ ხალხს და გაუკაფოს კარგი და კეთილი გზა არსებობისათვის ბრძოლაში. ეს მომავლის კაცია!

წარმოსთქვა ეს სიტყვები უბუცესმა და განუტევა ხული.

მარიამ იაშვილი.





კეთილი მამა.

(წინამძღვარიანთ-ქარის სამეურნეო სკოლა 30 წლის იუბილეს გამო).



(დასასრული).

ასაკვირველია ძნელი იყო ასეთი სკოლის პირნათლად გაძღოლა, მისი ფეხზე დაყენება, ყველაფრით ასე საღად გამართვა:—ილიამ მას ყველაფერი ანაცვალა და ასე სახელ-გაკეთებული სრულს ოცდა ათ წელიწადს საკუთარი უნარით და მომჭირნობით აცოცხლა. საზოგადოებაც მიხვდა, რომ ილიამ შეუძლებელი შესძლო, და ამიტომაც გადასწყვიტა ილიასთვის მადლობა ეთქვა. ქართული სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით შესდგა იუბილეს მომწყობი კომიტეტი, რომელმაც დაადგინა იუბილეს გამართოს კვირა დღეს, 29 ენკენისთვის. თვით ილია იუბილეს წინააღმდეგი იყო:

— მე რა მადლობა მინდა: რაც შემეძლო და რისაც ვალდებული ვიყავი სამშობლოს წინაშე—ის გავაკეთე! ბრძანა, მაგრამ საზოგადოება არ მოეშვა და, როგორც იყო, ისიც დაითანხმეს.

ამ დღისათვის ემზადებოდა ჩვენებური ყველა კულტუ-

რული საზოგადოება და თვით სკოლაც. ყოფილ მოწაფეთა და შეგნებულ გლეხების თაოსნობით სკოლის მახლობელ სოფელში, გალაფანში, გააკეთეს საზეიმო კამარა; მორთეს, მოკაზმეს შწვანე ხვეულებით, პურის თაფთავით, აქა-იქ ჩამოჰკიდეს მიწის დასამუშავებელი მამა-პაპური იარაღები და ზედ კამარაზე ფერადი დროშები ააფრიალეს. სკოლაში რამდენიმე დღით აღრე მოვიდა ზოგიერთი ყოფილი მოწაფე და სკოლის მოწაფეებს სადღესასწაულო მზადებაში ესენიც ეშველებოდნენ.

კვირას, სისხამ დილიდანვე მასპინძელ-მოდღესასწაულეთა თვალი ცისაკენ იყო მიპყრობილი: ბუნება მარტის დღესავით იმრიზებოდა. ცოტა კიდევ წამოწვიმა. სკოლის ეზოში დილიდანვე იწყო ხალხმა შეგროვება. ყველა კარგ ამინდს ნატრობდა. ბუნებამ თითქო ისმინაო ხალხის მუდარა: წვიმა გადაიღო, მაგრამ სამაგიეროდ შემოდგომის ცივმა ქარმა დაიწყო სისინი.

საათის 12-ზე თვით მოდღესასწაულე გაეგება თფილისიდან და მცხეთის სადგურიდან მომავალ მომლოცავ სტუმრებს. მოდღესასწაულენი შეჩერებულებიყვნენ წიწამურაში და ილია ქავჭავაძის ჯვართან ანტონ ეპისკოპოსს პანაშეიდი გადაეხადა. პირველ საათზე ბაწარ აღებით ეტლებიც გამოჩნდნენ, მათ პატივსაცემლად შეეგება რამდენიმე ცხენოსანი.

ამდენი ეტლის ერთად დანახვა ამ სოფელში პირველი შემთხვევა იყო. მათ საცქერლად სახლებიდან გამოეფინა დიდი და პატარა, ქალი და კაცი. სტუმრები მოსვლისათანავე სკოლის საყდარში შევიდნენ. იქ ანტონ მღვდელთ-მთავარმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, ღვთის მსახურების დროს გალობდა მოწაფეთა გუნდი. პარაკლისის შემდეგ არქიელმა სიტყვა წარმოსთქვა და ილიას ამაგი აღნიშნა, სკოლის ღვდელმა და საღმრთო სჯულის მასწავლებელმა ალ.



ჯალიაშვილში თავისა და სხვა მასწავლებლების სახელობის სიტყვით მიმართა და ხატი მიართვა.

პარაკლისის შემდეგ მოწაფეები და მოსალოცად მოსული აუარებელი ხალხი ჩაირაზმა სკოლის წინ, ფერმის შესავალ კარებთან, დიდი ტირიფის ქვეშ. აქვე დააბრძანეს ილია და საპატიო სტუმრები. ვინ გინდა რომ აქ არ იყო: საქართველოს ყველა კუთხეს, ყველა ჩვენებურ კულტურულ დაწესებულებას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი. აქვე იყვნენ კავკასიის უმაღლესი მთავრობის მოხელე პირებიც. აქვე მოეყარათ თავი სკოლის ყოფილ მოწაფეებს, კლარა-შერეულებს; ზოგ მათგანს თავისი შვილები, სკოლის ახლანდელი მოწაფეები, წინ გაეჩერებინა და კეთილ მამას მადლობის აღსაყვან თვალებით შესტკეროდა, თავისა და შვილის აღზრდისათვის მადლობას სწირავდა. იყვნენ ამ სკოლის ყოფილი მასწავლებლებიც, რომლებიც ილიას, ისე როგორც მოწაფეები, მამას უწოდებენ.

დაიწყო მილოცვა. ყველა გრძნობით სავსე სიტყვას ამბობდა და აღნიშნავდა ილიას დაუღალავ და თავგანწირულ შრომას და ღვაწლს, ოცდა ათი წლის განმავლობაში სკოლისათვის გაწეულს.

ბევრი საყურადღებო სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ყველაზე მეტად თავი ისახელა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავადმა **აფხაზმა**. მან მდაბიო გასაგები ენით ზეპირად მიმართა საგურამოს საზოგადოების გლეხობას და ასეთი სამეურნეო სკოლის მაღლი ცოცხალი მაგალითებით განუმარტა. მის გრძნობიერ და შინაარსიან სიტყვის დამსწრე გლეხობა სიამოვნებით მიეგება. ჩვენი ქურნალის „ნაკადულის“ რედაქტორმაც შემდეგი სიტყვით მიმართა პეტრეცემულ ილიას.

ძვირფასო ბატონო ილია!

„ბედნიერად ესთელი ჩემ თავს, რომ წილად მხვდა საყმა

წვილო ეურნალ „ნაკადულის“ რედაქციისაგან მოგიძღვნათ გულწრფელი საღამო და მოგილოცოთ ოცდა ათი წლის ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობა სამეურნეო ასპარეზზე. დღევანდელი დღესასწაული — ეროვნული დღესასწაულია. ქართველი ერი უხსოვარ დროიდან მჭიდროდ შეკავშირებულია თავის სამშობლო მიწა-წყალთან და მას კიდევ ღრმად სწამს, რომ მიწის გონივრულად შემუშავება ერთ-ერთი მძლავრი და საუკეთესო იარაღია ერის კეთილ-დღეობისათვის. სამწუხაროდ, მიწის გონივრულად მოვლა და შემუშავება ჩვენ ხალხს ნაკლებად ეხერხებოდა. აი, ჩვენო სასიქადულო მოღვაწევ, ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად, შენ პირველად, შენი საკუთარის შრომით და ენერჯით, ამ ოცდა ათი წლის წინად დაარსე ეს მეტად დიდ-მნიშვნელოვანი სამეურნეო სასწავლებელი, იმ აზრით, რომ ხალხში შეგეტანა და გაგვერცელებინა სამეურნეო კოდნა თანამედროვე გართულებული ცხოვრების მიხედვით.

ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში შენი მადლიანი ხელით, მოსიყვარულე გულით დაწყებულმა საქმემ შესაფერი ნაყოფი გამოიღო, და თუ დღეს — დღეობით ჩვენ სოფლებში რაციონალურად ფეხს იკიდებს მეურნეობა, თუ ჩვენი ხალხი რამდენიმედ მაინც გონივრულად უვლის და პატრონობს თავის მიწა-წყალს, ეს შენი უანგარო და თავ-განწირული შრომის მეოხებითაა.

მადლიერი ერი ამ შენ დიდსა და ფასდაუდებელ ღვაწლის თავის დღეში არ დაივიწყებს და კიდევაც ამიტომ, რომ დღევანდელი დღესასწაული ქეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს.

დღესასწაულს „ნაკადულის“ რედაქციაც სულითა და გულით უერთდება და გილოცავს შენ, ჩვენი ერის სასიქადულო, ერთგულო მოჭირახულევ, ჩვენ მდინარე ხალხში სამეურნეო კოდნის გამავრცელებელი პირველი პიონერი, ოცდა ათი



წლის ნაყოფიერ საზოგადო მოღვაწეობას შენი საყვარელი
 სამშობლო ერის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.”

ბევრმა ვერ მოასწრო სიტყვის თქმა და თავის გულის
 ნადების გამოთქმა. ბევრმა მოსვლა ვერ მოახერხა და თავისი
 ტფილი გრძნობა ცივ მავთულს გადასცა. სამწუხაროდ ყვე-
 ლა დეპეშების წაკითხვაც ვერ მოესწრო. ნამგზავრი ხალხი
 დაიქანცა, საკირო იყო მოსვენება. საზოგადოების უურადლე-
 ბის მადლიერმა ილიამ თავისი სამადლობელი სიტყვა წარმო-
 სთქვა და შემდეგ შესანაყრებლად საზოგადოება შუხის ქვეშ
 მიიწვია. სუფრაზედაც ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოით-
 ქვა. საღამო ეამს ნახულ-გაგონილით ნასიამოვნები სტუმრები
 წავიდ-წამოვიდნენ. სკოლაში დარჩნენ ამ დღისათვის საგან-
 გებოდ მოსულნი ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოწაფენი
 თავიანთი მართველ-მასწავლებლებით. ვახშმად ილია ამ ქაბუჯ
 სტუმრებთან, ამ მომავალ მეურნეებთან დაჯდა, მათთან იზი-
 არულა და თავისი მადლიანი სიტყვა მიაღაც უთხრა.

აქვე მოვიყვანოთ ყოფილი მოწაფის მიერ გამოგზავნილი
 პატარა ლექსი. ამ მოწაფის მამასაც აქ უსწავლია. ამ ლექს-
 სით დავასრულოთ ამ იშვიათი სკოლის და იშვიათი აღამიან-
 ნის დღესასწაულის ამბავი.

ძვირფას მამას ილიას

„მამაო, მამის მამაო,

ჩემიც მიიღე საღამო:

იკურთხოს შენი მარჯვენა,

იკურთხოს შენი აღამი“!..

აბ. წულაძე.





გუთანი ქართლში.



არითრაყდა თუ არა, ღამის მებრეებმა საქონელი დაირეკეს და ძოვნით წელ-წელა გუთნისკენ გამოაყოლეს. გუთნის-დედა და ორი მებრე კიდევ მეორე მზრი-დან მოუახლოედნენ გუთანს და ყველამ ერთად ლაპარაკითა და ხუმრობით საქონლის შებმა იწყეს.

— აბა, ბიჭებო, დღეს კარგი დღე იქნება, საქონელი არ გააბეზროთ, ხმა გაეცით, ეგება კარგი დღიური ვაყავითო! — უთხრა გუთნის დედა მებრეებს, პირჯვარი გადიწერა, „ღმერთო, შენ გვიშველეო!“ წარმოსთქვა და გუთანი მიწას აუგდო.

— ჰააჰო, თვშე, მოდი ესე! — გაისმა მებრეების ხმა და გუთანმა მიწას გაუარ-გამოუარა.




„ოთვინს, შავო კამეჩო, დიდი მაისის დღეაო, ზიზღიანობა
 მებრეს რომ დაეძინება,—პირი დარჩება ღიას,
 ან ჩაუძვრება ჭინჭველა, ან შხამიანი კიაო!“
 დასძახა ერთმა მებრემ.

„გუთნის-დედას რა მადლი აქვს,
 თუ არ შევა საყდარშია?
 თვითონ იხნავს კაი დარში.
 მებრეს უხნავს ავჯარშია!“—

ჩამოართვა მეორემ და მათმა ოროველამ მინდორი
 აახმოურა.

— ეგრე თქვენი ჭირივით, ზიკვებო, ეგრეო!—ხმა გასცა
 გუთნის-დედას, რომელსაც გუთანი ცალი ხელით ეჭირა და
 ისე უკან მისდევდა.

ახლა ვიკითხოთ, როგორ არის მოწყობილი გუთანი,
 რაა მასალა და რა წვესებსა და რა ჩვეულებებზეა დამყარებუ-
 ლი საერთოდ ხენა ქართლში?



გ უ თ ა ნ ი.

გუთანი—სახნავე იარაღია. მთელი იარაღი ხისაა, გარდა
 სახნის-საკვეთისა, რომლებიც რკინისაა. თავი-და-თავი ნაწი-
 ლი გუთნისა არის აიენის ბოძის სისხო ხე, ესე მ არშინის
 სიგრძისა. თვითონ ამ ნაწილს ჰქვია გუთანი, რომლიდანაც

ეს სახელწოდება მოელ იარაღზეა გადასული. ერთი ნაწილი ამ ხისა, ნახევარზე ცოტა მეტი, რომლითაც ის შეერთებულია გუთნის დანარჩენ ნაწილებთან,—სწორე და პირდაპირია, მეორე-კი, წინ გაშვერილი, ქვევით არის ჩაზნექილი. ცოტ-ცოტათი იწევს ქვევით, ესე ერთ ციდაზე, პირვანდელს სისწორისა, ბოლო თავი-კი ისევ ზევით არის წამოსული. ეს ხე რგვალად გათლილი და ცეცხლზე გატუსსულია. გუთანად ხმარობენ იფნს, თელას.

გუთნის დანარჩენი ნაწილებია: კბილა, ხმალა, მანკები, ფრთა. კაკაბი, საჯამბრე და სახნის-საკვეთი.

—**კბილა** გათლილი, გასუფთავებული ხეა, არშინზე ცოტა მეტი სიგრძისა. სისქე აქვს გოჯი, —გოჯ-ნახევარი. სიგანე უთანაბრო: ზოგ ადგილას, სადაც სხვა ნაწილები აქვს შიგ ჩამჯდარი, სამ გოჯამდინაა. ზოგან-კი ორი. კბილად გამოსადეგია: იფნი, მუხა და თელა.

ხმალა სწორე, ოთხ-კუთხად გათლილი ხეა. სიგრძე აქვს ერთ არშინამდე, სიგანე სამ გოჯამდე, თუმცა-კი ზევითა მხარე თან-და-თან უფიწროვდება, და სისქე—ერთი გოჯი. ხმალად ვარგა: იფნი, მუხა თელა და თეთრი რცხილა.

მანკი გუთანს ორი აქვს. ეს მოყვანილი ხეებია ერთ ნახევარი ან ორი არშინის სიმაღლისა. ძირს მანკები ერთი ერთმანეთზე დაშორებულია მტკაველზე მეტით, თავის სიმაღლის ნახევარს სწორედ მიდიან, შემდეგ შიგნით მიდიან და ერთდებიან. კაცს მანკები საყდრის გუშბათის მოყვანილობას მოაგონებს. ერთი მანკი უფრო სხვილი და განიერია მეორეზე. მანკად ყველა ხესა ხმარობენ.


ფრთად ორი ფიქარია. ერთი მათგანი განიერია, მეორე—ვიწრო. სიგრძით ორივე თანასწორია და ერთ-ნახევარ არშინამდე უწევს.

კაკაბი ერთ-ნახევარ მტკაველის სიგრძისა, ვიწრო, სწორე, კობტად გათლილი ხეა, ერთი გოჯის სისქისა. მოხაზუ-

ლობა სხვა-და-სხვანაირი აქვს: ოთხ-კუთხი, რგვალი ვალ-კუთხიანი.

საჯამბრე ერთი გოჯის სისხო, კუთხედ მოყვანილი, რგვალად გათლილი ხეა. სიგრძე თითო მხარეს სამ-სამი გოჯი ექნება. საჯამბრე ეწევა გუთანს, და რადგან ძალიან მაგარი ხეა საკირო, შვინდის ხესა ხმარობენ.

სახნის-საკვეთი ხომ თითქმის ყველა იცის: საკვეთი-სქელი რკინის მოგრძო დანაა და სახნისი კიდევ ცალ-პირა-ბარი.



1 შილტა, 2 ფამფალაკი, 3 განუსვენა, 4 ღირღიტა, 5 გუთანის თვალი, 6 უღალი.

ეს ნაწილები ცალკე-ცალკე ეწეა შემდგარი. დიდი მანკი ჩამჯდარია კბილას უკანა ბოლოში; იმავე ადგილას კბილას, მარჯვენა მხრიდან, უკეთდება კაკაბი, რომელიც მეორე მხრიდან ჩამჯდარია მეორე მანკში. დიდ მანკს, რომელიც მარცხნივ არის, მტკაველზე ცოტა მეტ სიმაღლეზე უკეთდება თვითონ გუთანი სწორე მხრიდან. მანკის მოშორებით კბილა ამოკრილია და უკეთდება ხმალა; ხმალა გაივლის კბილას, ზევითა თავი ამოდის ზევით და, ცოტა წინ წაწვენით, ვადის გუთანში და ამოდის ზევით 2—3 გოჯის სიმაღლეზე. მანკსა და ხმალას შუა დარჩენილია ორი მტკაველის სიგრძე ადგილი.

ხმალა კბილას თავში გადის, ასე რომ იმას იქით კბილას მხარე
ლოდ 4—5 გოჯის სიგრძე ადგილი რჩება. ხმალაზე და მეორე
მანკზე, ე. ი. გუთნის მარჯვნივ, აკვრია ფრთა. ფრთის ფი-
რებს სიგანით უჭირავს კბილასა და გუთანს შუა მოყოლე-
ბული ხმალას ნაწილი. ხმალასთან ფრთის ფიცილები მჭიდროდ
არის ერთი-ერთმანეთზე მოსული; იქითა მხარეს-კი, როდესაც
მანკს გადასცდება, დარჩენილია მათ შუა თავისუფალი ადგი-
ლი, რისთვისაც განიერ ფიცარს, რომელიც ქვევიდან უკეთ-
დება, ამოკრილი აქვს ზეერთა მხარე. კბილას წინ გაკეთებუ-
ლი აქვს სახნისი, ამ უკანასკნელის წინ-კი ჩამოშვებულია
ზევიდან გუთანში მიმაგრებული საკვეთი. გუთანს წინა თავში
ერთ მტკაველზე ზევიდან უკეთდება საჯამბრე, და ეს არის—
გუთანი მხათაა, მაგრამ ხენამდის ჯერ კიდევ შორსაა: გუ-
თანს ფამფალაკი აკლია.



გუთნის ნაწილები, 1 კბილა, 2 მანკები, 3 ხმალა, 4 გუთანი, 5 კაკები,
6 ფრთები, 7 სახნისი, 8 საკვეთი, 9 საჯამბრე.

ფამფალაკი ოთხ-კუთხიანი ღერძია. ერთ მხარეს ამ
ღერძს, სახელდობრ მარჯვნივ, გაკეთებული აქვს ფერსოიანი,
მომკრო თვალი, მეორე მხარეს-კი პატარა, ერთიანი კაკლის
ხის თვალი, ღირღიტად წოდებული. ფამფალაკს წინიდან უყ-
რია გრძელი 3—3 ნახ. არშ. ოთხ-კუთხად გათლილი ხე—
შოლტა, რომელსაც კალოზე უღელი აქვს გაკეთებული ფამ-
ფალაკით დააქეთ გუთანი. შოლტას ძირში გამობმული აქვს
ღვედი—სპეციალური გუთნის თოკია თასმისგან დაწნული;

რომელზედაც უღლებია აბმული. ღვედით ეწევა საქონელი გუთანს. ხენის დროს ფამფალაკი წინ მიდის. ქვევიდან ჩამოტარებულია ჯამბარა. მოკლეთ, რგვლად შეკრული ტყავის თოკია, რომელსაც, საერთოდ ასაკრავი ჰქვია—ჯამბარა წამოდებული აქვს საჯამბრეს და ხენის დროს გუთანი თან მიჰქვს. ისე-კი გუთანი ზედა დევს ფამფალაკზე. რადგან ფამფალაკი, ლირლიტა თვალისა გამო, მარცხნივ ძირს დაწეულია, ამიტომ ამ მხრივ ფამფალაკს უკეთდება ზევიდან დასაყრდნობელად მოყვანილი ხე, რომელსაც განუსვენე ჰქვია. ცალ-მხრივ განუსვენეზე დაყრდნობილი გუთანი თანასწორედ და სძევს ფამფალაკზე და ამიტომ თავისუფალი სატარებელია.

ამითაც არ არის გათავებული გუთნის გამართვის საქმე. ამრიგად გაკეთებული კარგი გუთანი ნახევარ არშინის სიმალღებდა ხნავს მიწას; ამისათვის-კი დიდი ძალაა საჭირო. მართლაც გუთანს ქართლში რვა თუ არა, შვიდი უღელი ხარკამეჩი მაინც სჭირდება. ამოდენა საქონლის მყოფელი გლეხი კაცი-კი იშვიათია. ამიტომ გუთნის გამმართველი, რომელსაც გუთნის დედა ეწოდება, მოდგამებს ეძებს. მოდგამი—ამხანაგია. მოდგამების რიცხვი მათ საქონლის ყოლაზედა ჰკიდია. თუ თითო მოდგამი ყვეარს, ე. ი. ორ უღელს ხარკამეჩს, მოიყვანს, მაშინ საკმარი იქნება ოთხი მოდგამი, რომელთა რიცხვში გუთნის დედაც იქნება. საჭიროა აგრეთვე მეხრეები: დღისა და ღამისა. დღის მეხრე დღე უზის გუთანზე და ხარკამეჩს ერეკება. ერთი მეხრე ყვეარს ხარკამეჩს უძღვება. ღამის მეხრეს გუთნეული დაუდის ღამით საძოვარზე. ღამის მეხრედ ორი ახალგაზდაა ხოლომე, რომელიც შეიძლება დღის მეხრედაც იყოს. ღამის მეხრეს დიდი მნიშვნელობა აქვს: მთელი გუთნეულის ავ-კარგიანობა მომეტებულიად მათზე დაყარებული. მათ უნდა გუთნეული დაადონ და დაასვენონ, რომ მეორე დღისთვის ძალა მოიკრიბონ. გუთნის-დედა ყოველთვისა ცდილობს კარგი ღამის მეხრე იყო-

ლიოს და ამის გამო მათ შორის ხშირად ჩხუბი და კიბეაობაა.

ხენის წესი ასეა განაწილებული: მეზრეს ნება აქვს ერთი დღე იხნას თავისთვის—ამას ალო ჰქვიაშ. უღელ ხარსაც ერთი ალო ერგება. ყველა მოდგამი ამ წესს ექვემდებარება, გარდა გუთნის-დედისა, რომელსაც უფლება აქვს, ზედ მეტად იმისა, რაც საქონელში ერგება, იხნას კიდევ ოთხი: სამი დღე გუთანს რომ მისდევს და მართავს იმისა; ნახევარი დღე—დედისა და ნახევარი დღეც—ჯამბარა—აპურისა. ამ წესის მიხედვით გუთანი მთელი 18—20 დღე აბია ხოლმე.




გუთანი დასვენების დროს.

ხენა ქართლში ჩვეულებრივად წელიწადში ორჯერ იციან: გაზაფხულზე—მარტში; მეორედ—ზაფხულში, თიბათეში. პირველ ხენას ეძახიან სასიმიინდე ხენას, რადგან სიმიინდის დასათესად ხნავენ; მეორეს ანეულისას და სთესავენ პურს. სასიმიინდე ნახნავში მაშინვე სთესავენ, ანეულის ნახნავი-კისე რჩება მთელ ზაფხულს და შემოდგომით ითესება. ამას გარდა ვინც ვერ მოასწრობს მოხენას, ის შემოდგომით აბამს გუთანს და მაშინ იხნავს.

ამიტომ არის, რომ სხვა დროს ქართლის მინდორში ლარივით გაქიმული გუთნეული არ მოსჩანს და მეზრეთა ოროველა არ მოისმის.

ი. მექანარიშვილი.





ტროადის ომი.

მეფე პრიამოსის უვნებლად მისვლა აქაველების ბანაკში.



როადის მეფე მოხუცი პრიამოსი და მისი თანამზღებელი იდეოსი ვასკ-დნენ ქალაქის ბქისკარებს და აქაველების ბანაკისაკენ გაემგზავრნენ. მგზავრები უხმოდ, უსიტყვოდ აჩქარებდნენ ფეხმალ ცხენებს ტროადის ზღუდეთა ვარშემო დაფენილ თვალ-უწვდენელ ველზე. ცხენები თითქო გრძნობდნენ საით და რის-

თვის მიემგზავრებოდა მოხუცი გვირგვინოსანი, და ამიტომ სწრაფად, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაუძალებლად დანიშნულ ადგილისაკენ მიეშურებოდნენ. მგზავრებმა მიღწიეს ილოსის საფლავზე აღმართულ ბეჭობის მახლობლად რომელიც უხვად ირწყვებოდა მდინარე ქსანთოსის ზვირთებით.

მეფე პრიამოსმა და მისმა თანამზღებელმა შეაჩერეს ცტლები ქსანთოსის ნაპირას შესასვენებლად და ცხენებისათვის წყლის დასალევიანებლად.



ღმერთების მამათ-მთავარმა ზევსმა მეფე პრიამოსის გზის მაჩვენებლად და აქილევსის სამხედრო კარავში უვნებლად მისაყვანად ოლიმპოსის მწვერვალოდან წარმოგზავნა ღმერთების შიკრიკი ჰერმესი. ყოვლად შემძლებელ ღმერთების მამათ-მთავრის სურვილის თანხმად ჰერმესი ახალგაზდა ყრმის-სახით დაუყოვნებლივ გაჩნდა ამ ადგილას, საცა მეფე პრიამოსი და მისი თანამზღებელი დასასვენებლად შეჩერდნენ.

მეფის თანამზღებელმა შენიშნა ახალგაზდა ყრმა და შიშისაგან აკანკალებული ხმით ჩუმიდ უთხრა მეფეს: „დიდებულო მეფევი! ჩვენ უთუოდ რაღაც უბედურება გადაგვხდება ამ ადგილას! ზედავ, აი, ვილაც ახალგაზდა ყრმა გვიახლოვდება! ვშიშობ, რომ არ მოგვეკლას ორთავენი! სჯობს ახლავე თავს უშველოთ, მოვშორდეთ ამ საბედის-წერო ადგილს და, თუ ეს შეუძლებელია, ღმობიერად შევთხოვოთ სიცოცხლეს ნუ გამოგვასალმებს, ზვეწნითა და მუხლ-მოდრეკით შევთხოვოთ, ნუ მოუსპობს სიცოცხლეს შობებელ მოხუც მამას, რომელიც თავისი ღვიძლი შვილის უსულო გვამის გამოსასყიდად მიემგზავრება მურის ბანაკში!“

მოხუცი პრიამოსი ამ სიტყვებზე შეშფოთდა, შიშის ზარმა აიტანა, გონება ერთიანად დაებნა, ვაპენტელ ქულასავით თეთრი თმა თავზე ყალბზე დაუდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უცნობი ახალგაზდა, მიმზიდველი გამომეტყველებით, მეგობრულად მიუახლოვდა მგზავრებს, ალერსიანად ჩაჰკიდა ხელი-ხელში მოხუცებულ პრიამოსს და ღმობიერი ხმით შეეკითხა: „საით მიემგზავრები, კეთილო მამაო, სწორედ იმ დროს, როცა თვითთელი მომავდავი თავის სახლშია და მშვიდად ღრმა ძილში განისვენებს? ნუ თუ შენ არ გეშინია ასეთ ბნელი ღამეში ელლინთა მხედრობის შემოჭრებისა, რომლებიც მუდამ გამს ბრძოლის ველს თავს დასტრიალებენ და თვითთულ ნაბიჯზე ფხიზლად, გულმოდგინედ გუშავაობენ? ვინც-კი დაგინახავს ამ ბნელ ღამეში ესეთი ძვირფასი საჩუქრებით დატვირთულს, არაფრის გულისათვის არ დაგინდობს და უთუოდ რამე უბედურებას

შეგამთხვევს: შენ, ჩემო კეთილო მამო, უკვე ხანში შესული ხარ, ძალ-ღონე არ შეგწვეს, მტერს პასუხს ვერ გასცემ! შენი თანამზღებელიც შენზე არა ნაკლებ ხანში შესულია, იგიც შენებრ სუსტი და უღონოა! და აბა, ამის შემდეგ, რისა ან ვისი იმედი უნდა გქონდესთ! ჩემი-კი, კეთილო მამო, შენ ნუ შეგეშინდება! მე თავის დღეში შეურაცყოფას არ მოგაყენებ, პირიქით—კიდევაც დაგებმარები და თქვენზე მოსულ მტერს სამაგიეროს გადაუხდი. დარწმუნებული იყავი, რომ ყოველთვის და ყოველგან პატივსა გცემ, რადგან შენი ღმობიერი სახე, შენი კეთილშობილური გამომეტყველება ჩემი საყვარელი მშობლის გამომეტყველებას ძლიერ მაგონებს?

— მწამს შენი სიტყვები, — მიუგო პრიამოსმა ახალგაზდა ყრმას: — ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთებს ჩემზე მთლად გული არ აუყრიათ, როცა შენებრ გაბრძნობილსა და გამოცდილ გზის მაჩვენებელს და მზღებელს მიგზავნიან.

— მართალი მითხარ, — განაგრძო ისევ ახალგაზდა ყრმამ: — ძვირფას განძს გზავნი დასაცველად უცხო ქვეყანაში, იმ მოლოდინში, რომ ტროადის სულ მოკლე ხანში გაანადგურებენ მტრის რაზმები? მართალი არ არის, რომ თქვენ გსურთ ტროადა სრულიად დასტოვოთ? ტროადის მედგარი დამცველი, შენი საყვარელი შვილი ჰექტორი, რომელიც თავის მამაკობით არცერთ ელლინთა გმიჯს არ ჩამოუვარდებოდა, ხომ უკვე სიკოცხლეს გამოასალმეს!

მეფე პრიამოსმა ამ სიტყვების გაგონებაზე უეცრივ შეეკითხა ახალგაზდა ყრმას: — ვინა ხარ, ჩემო კეთილო ყრმაო? მე მინდა უთუოდ ვაეიგო შენი ვინაობა, გულს მიხარებს შენი სიტყვები ჩემი საბრალო ჰექტორის შესახებ!

— მე ელლინთა გმირთა გმირის აქილევსის მსახური ვარ, ტომით პირმიდონელი. სწორედ იმ დროს, როცა აქილევსი ბრძოლის ველზე გამოდიოდა, ხშირად შორიდან დამინახავს ჰექტორის იშვიათი მამაკობა და სამშობლო ქვეყნისათვის გმირულად თავდადება. ჰექტორის თავგანწირულებით ყვე-

ლანი განცვიფრებული იყვნენ. არა ერთი და ორი აქტივობის გმირთა გმირი გამოუსალმებია სიცოცხლისათვის შენ ძლევა-მოსილ შვილს ჰექტორს:

მეფე პრიამოსს სასიამოვნოდ დაურჩა ახალგაზდა ყრმის ვინაობის გაგება. მეფე ღმობიერის კილოთი შეეკითხა ახლად გაცნობილ ახალგაზდას: „თუ მართლა შენ აქილევის მსახური ხარ, გემუდარები, გეხვეწები, ჩემო კეთილო ტყბილად მოსაუბრე, მითხარ, ჩემი საყვერელი შვილის უსულო გვაში ამ ეამად ხომალდებთან გდია, თუ პელეასის ვაჟიშვილმა იგი ნაკუნ-ნაკუნად აქცია ღ მირმიდონელთა გაუმაძღარ ძალების ლუკმად ვახადა?“

უცნობმა დაამშვიდა მეფე პრიამოსი: „დიდებული ჰექტორის უსულო გვაში ამ ეამად ხომალდების წინ ასვენია. იგი სრულიად უვნებელია: მირმიდონელთა ძალების ლუკმად ჰექტორის უსულო გვაში არავის არ გაუხდია. მართალია— გმირთა გმირი აქილევი ყოველ დილით, განთიადისას ჰექტორის უსულო გვამს პატროკლოსის საფლავის ბექობს ეტლზე ჩამოკიდებულს გარს შემოატარებს, მაგრამ მიცვალებული ისევ უვნებლობდა. შენ თვითონ განცვიფრდები, როცა შენი საყვარელი შვილის უსულო გვამს დაინახავ: გვაში სუფთად და წმინდათაა შენახული, თითქო ყოველ დღე ცვარითა და ნაშით აბკურებს განზრახ ვინმეო. სჩანს, რომ ღმერთები სიკვდილის შემდეგაც არ ივიწყებენ შენ საყვარელ შვილს!“

მეფე პრიამოსმა სულით და გულით გაიხარა ამ ამბის შეტყობით და თვალ-ცრემლიანმა უპასუხა უცნობს: „ჩემი საბრალო შვილი მუდამ ეამს პატივს სცემდა ღმერთებს, მუდამ შიშითა და მოკრძალებით ასრულებდა მათ ბრძანებას და კიდევაც არ დაივიწყეს!“ მეფემ ნიშნად ღრმა პატივისცემისა ამოიღო სკივრიდან ძვირფასი ოქროს ზნარფეშა და საჩუქრად შესთავაზა ახალგაზრდა ყრმას. უცნობმა მეფე პრიამოსს მადლობა შესწირა, მაგრამ საჩუქარზე უარი განაცხადა. ყმაწვილმა მოგზაურებს აღუთქვა—უსაჩუქროდაც

ზიგაცილებთ აქილევსის სამხედრო კარავამდისო. უცნობი მყისვე გვერდს მოუჯდა ეტლში მეფე პრიამოსს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფიცხლად გარეკა ფეხ-მალის ცხენები მირმიდონელთა ბანაკისაკენ. მოხუცი პრიამოსი სიბარულით სტკებოდა, რომ ღმერთებმა ესეთი გულ-კეთილი და მამაცი გზის მაჩვენებელი მოუვლინეს.

მგზავრებმა უვნებლად მიადწიეს აქაველების ბანაკის კარებს. რომელთაც ელღინთა მხედრობის მეომრები ფხიზლად სდარაჯობდნენ. უცნობმა ახალგაზრდა ყრმამ ბანაკის დარაჯებს მოუვლინა კვერთხის შეხებით ღრმა და ტკბილი ძილი, თავისუფლად გააღო ალიყაფის კარები და მეფე პრიამოსი და მისი თანამზღობლები შევიდნენ აქაველების ბანაკში.

გმირთა გმირის აქილევსის სამხედრო კარავი მოთავსებული იყო ბანაკის შუა ადგილას და ირგვლივ მაგარი კედლით იყო შემოხლულდული. უცნობმა მგზავრები მიიყვანა აქილევსის სამხედრო კარვის ეზოს კარებთან, გააღო თავისუფლად კარები და ეტლები მგზავრებითურთ აქილევსის სამხედრო კარვის წინ გააჩერა. უცნობი შემდეგ მიუბრუნდა მეფე პრიამოსს და ესეთი სიტყვებით მიმართა: „დიდებულო მოხუცო! შენს წინაშე სჯვას არა უბრალო მომაკვდავი, არამედ თვით ღმერთი ჰერმესი, რომელიც ოლიმპოსიდანაა გამოგზავნილი თანხმად ღმერთების მამათ-მთავრის სურვილისა შენთვის გზის საჩვენებლად და აქაველების ბანაკში უვნებლად მისაცილებლად დაუყონებლივ შედი აქილევსის სამხედრო კარავში და თხოვნით და მუდარებით მოალბე გმირთა გმირის გული და ღმობიერად შეევედრე შენი საყვარელი შვილის ჰექტორის უსულო გვამი დაგიბრუნოს.“

ამ სიტყვებთან ერთად ჰერმესი შეუმჩნელად ჩამოშორდა მეფე პრიამოსს და მალალ-წვეროვან ოლიმპოსისაკენ საჩქაროდ გაემართა.

რეზუსი.

(წარმოდგენილი დარაშვილის-მიერ).



მამაშენის
ქალიშვილი



თ



ტ



„ 9 „

ბ 100'



2'



ქალის
სახელი

ამ რეზუსის ბოლო იხილეთ მეორე კვუარდზე.



, მ

 პურს რა
 ეღება

, რ



ნ

 თევზის
 დასაქერი?

ს

შ ა რ ა დ ა .

(წარმოდგენილი პ. ნიორაძის-მიერ).

ქკუის კოლოფს ბოლო მოსკერ,
 ნათესავი შიაცერე.

შემდეგ რბილი ხილი დართე
 და რაც არის, დამიჯერე,
 ყველას უყვარს. შენც მიბაძე,
 მიხედი და გულს დაიწერე.

მ-9 №-ში მოთავსებულ შარადის ალსნა

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო .